ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი, 4 თებერვალი, 2020 №28 (8292) ფასი: 60 თეთრი

გიორგი რურუა: „50 ცალი გაფორმებული იარაღი მაქვს და გაუფორმებლით რატომ ვივლიდი?“



გვ.5

28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# „ივანიშვილმა დაჟერებით ალუჩა და ჩიჩილაკა შეაშინოს“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ამ ხელისუფლებას ჩვენ გადავასახლებთ მატროსოვზე!“



## „მიშა ვერ ავიტანეთ და თალაკვაძე რატომ უნდა ავიტანოთ?!“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ბიძინას შერჩა ადეკვატურობა, რაღაცას შეცვლის“



პეტრე მამრაძე: „უცხოელები კობახიძეს რომ ხვდებოდნენ, ამბობდნენ, რომ ეს არის თავხედი და უვიცი ბიჭი“



გვ.4



გიგა ბუკია: „სააკაშვილს და მის პარტიას პროპორციული სისტემა არ აწყობს“



გვ.4

„პირობას როცა დაარღვევ, მერე საგარეო მოკავშირეები სხვა პრეტენზიებსაც გიცხადებენ“



გვ.3

ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლება საარჩევნო სისტემას არ შეცვლის“



გვ.2

მანანა არჩვაძე და ანა ჯაბაური ცოტნე გამსახურდიას ცალ-ცალკე ნახულობენ

ISSN 1987-9385

2 თენგიზ ცერცვაძე: „29 წლის მამაკაცს კორონავირუსის ნიშანი არ აქვს“
„ის, უბრალოდ, ჩინეთშია ნამყოფი“

2 საპენსიო სააგენტოს დირექტორობა 120 ადამიანს სურს

5 თბილისში მაჩაბლის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცმა თავის მოკვლა სცადა
დაჭრილია 2 ადამიანი

6 ესტონეთი რუსეთს ბრალს სდებს

# „მიშა ვერ ავიტანეთ და თალაქვაძე რატომ უნდა ავიტანოთ?!"

## თორნიკე შარაშენიძე: „თუ ბიძინას შერჩა ადეკვატურობა, რაღაცას შეცვლის"

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, დასავლეთიდან განხორციელებული წნეხის და კრიტიკის ფონზე, „ოცნებამ" გააქტიურება გადაწყვიტა. ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრს, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეს უშვებს აშშ-ში. რამდენად შედეგის მომტანი იქნება ეს ვიზიტები „ქართული ოცნებისთვის"? რამდენად გამოასწორებენ სიტუაციას?***

– თუ მათ განცხადებებს რაიმე კონკრეტული საქმე არ მოჰყვა თბილისში, ანუ დემოკრატიული რეფორმებისკენ გადადგმული ნაბიჯები არ მოჰყვა, ამას არაფერი ეშველება. თალაკვაძე კი არა, სულაც ამირანი რომ გააცოცხლონ და ის გაუშვან, სულ არაფერი ეშველება ამ მთავრობას. ვერაფრით დაარწმუნებენ ამერიკელებს, რადგან ამერიკელებმა დიდი ხნის წინ დაკარგეს ამ მთავრობის ნდობა. მათ სიტყვებს აღარ ენდობიან, თუ ენდობიან, ენდობიან მხოლოდ მათ საქმეს. შესაბამისად, ეს ვიზიტი იქნება ერთი შედეგის მომტანი.

***– რა შედეგის?***

– წავლენ, ამერიკაში გაისეირნებენ, გამოისეირნებენ, იშოპინგებენ, თვალს წყალს დაალევინებენ, მერე ჩამოვლენ და ივანიშვილს ეტყვიან, ჩვენ ყველაფერი შევეცადეთო. ეს იქნება და ეს, მეტი არაფერი.

***– აქამდე რატომ მიიყვანეს საქმე? მართლა შეწყვეტილი ჰქონდათ კომუნიკაციები?***

– არაფერი კომუნიკაციები არ შეუწყვეტიათ ამერიკელებთან. ამერიკელები დიდი ხანია ეუბნებიან ამათ, გაატარეთ დემოკრატიული რეფორმები, მაგრამ ვერ შეაგნებინეს ვერაფერი. როცა ვერ შეაგნებინეს ვერაფერი დახურულ საუბრებში, მერე გადავიდნენ ღია საუბრებსა და ღია განცხადებებზე. არანაირი კომუნიკაცია არ გაწყვეტილა. ამათი ბუტბური, რომ მეტი კომუნიკაციაა საჭირო, არანაირად ახლოს არ არის სიმართლესთან.

როგორ შეიძლება კომუნიკაცია გაწყვეტილი იყოს, როცა ამხელა ფულს ხარჯავენ ლობისტებზე, ჩვენი საელჩოა იქ, ამერიკის საელჩო აქ, კომუნიკაცია როგორ გაწყდებოდა?! ეს დიდი სისულელეა! ამას იგონებენ იმისთვის, რომ იქნებ ვილაც მაინც დაარწმუნონ საქართველოში, რომ უბრალოდ ჩვენ კომუნიკაცია არ გვქონდა კარგი და გამოვასწორებთო. თუ მართლა ასეა, 8 წელი რას აკეთებდნენ, კომუნიკაცია რომ არ ჰქონდათ?! ბუნებრივია, სისულელეა ეს.

***– რა იქნება ამ წერილების შემდეგ? საკმაოდ მკაცრი ტონია და პირდაპირი მითითებები.***

– ასეა. იმიტომ, რომ დაკარგეს მათი ნდობა. ამ წერილებს თუ არ მოჰყვა კიდევ ადეკვატური რეაგირება, უკვე მოჰყვება ოფიციალური ვაშინგტონის რეაგირებაც. ახლა თავს იმართლებენ, ოფიციალური ვაშინგტონიდან არ მიგვიღია წერილიო და აუცილებლად მიიღებენ, თეთრი სახლიდანაც მიიღებენ და მერე რას იტყვიან, ვნახოთ. თუმცა არც ის გაგვიკვირდეს, რომ მერეც თქვან რაღაც სისულელე.

***– ოპოზიციის ვიზიტი და გამოსვლები იგეგმება ევროსტრუქტურებში. იქიდან რამდენად ელით მკაცრ განცხადებებს?***

– განცხადებები უფრო გამწვავდება ყველა ვარიანტში, თუ რამე რეალური ნაბიჯი არ გადადგა მთავრობამ დემოკრატიზაციისკენ. ბოლო თვეები იქნება ძალიან მძიმე ამ ხელისუფლებისთვის. თუ ვინმე მეტ-ნაკლებად საღად მოაზროვნე დარჩა ამ ხელისუფლებაში, ალბათ ისიც გამოიქცევა ხელისუფლებიდან. ვინც დარჩება და... ჩვენ ვნახეთ, რა მოუვიდა 2003 წელს შევარდნაძეს და იმ ხალხს, ვინც მასთან დარჩა.

***– ოპოზიცია აქციების ახალ ტალღას იწყებს. ერთადერთი და მთავარი მოთხოვნა იქნება პროპორციული არჩევნები. იქნება პიკეტირება პარლამენტის და ყველა იმ შენობის, სადაც „ოცნების" მაღალჩინოსნები სხედან. რა შედეგებს ელით?***

– ვნახოთ, რა იქნება. დიდი იმედი მაქვს, რომ ძალადობა და სისხლისღვრა არ იქნება. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ მთავრობას დააკარგვინონ მოთმინება და მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდეთ, აბა სხვა რა უნდა ქნან.

***– რამდენად ელოდებით წნეხს და დევნას ოპოზიციონერ ლიდერებზე? უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო გიგი უგულავას საქმე და არ არის გამორიცხული, ისიც დააკავონ. რას ელოდებით?***

– ეს ყველაფერი ერთ რამეს ნიშნავს – მათ სხვა გზა აღარ დარჩათ, გარდა იმისა, რომ დააშინონ ყველა. აქეთ გცემთ და მერე თქვენვე ჩაგსვამთ თქვენივე ცემისთვის ციხეშიო. ეს ნაბიჯები გადადგმულია იმისთვის, რომ გარშემო ყველა დააშინონ.

***– რამდენად საშიში ხდება ასეთ დროს ხელისუფლება, როცა ხედავს, რომ დასასრულისკენ მიდის?***

– მე ვეტყვი „ოცნებას", რომ არ გამოვა აქედან არაფერი! ამ ქვეყანაში მსგავსი რამ ვის აუტანია?! ავტორიტარიზმის ნიშნებს და ავტორიტარულ მმართველობას ქართველი ხალხი ვერ იგუებს. ეს არაერთხელ დამტკიცდა ბოლო 30 წლის განმავლობაში. რატომ უნდა ავიტანოთ თალაკვაძის და მისნაირების ავტორიტარიზმი?! წონა მაინც ჰქონდეთ, დამსახურება მაინც ჰქონდეთ ქართველების წინაშე, რომ რაღაცა მისგან აიტანონ. მიშას ავტორიტარიზმი ვერ აიტანეს, მიშამ კორუფცია მაინც დაამარცხა და ამათგან განსხვავებით საქმეც ბევრი აკეთა და ამათი რატომ უნდა აიტანონ, გაუკეთებიათ რამე ქართველებისთვის?!

***– როგორი გაზაფხული ექნება „ოცნებას"?***

– ჯერ მიაღწიონ გაზაფხულამდე და მერე ვნახოთ. არანაირი რესურსი „ოცნებას" საკადრო განახლების და ასე შემდეგ აღარ აქვს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის დანიშნავენ და ვის მოიყვანენ. ვერ მოიყვანენ ვერსაიდან ნორმალურ კადრებს. მათთან არ მივა არავინ ნორმალური.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# თენგიზ ცერცვაძე: „29 წლის მამაკაცს კორონავირუსის ნიშანი არ აქვს"

## „ის, უბრალოდ, ჩინეთშია ნამყოფი"

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, მამაკაცს, რომელიც ინფექციურ საავადმყოფოში შეიყვანეს, სიცხე აღენიშნებოდა და გარდა იმისა, რომ ჩინეთშია ნამყოფი, ახალი კორონავირუსის სხვა კლინიკური ნიშანი არ აქვს.

როგორც ცერცვაძემ ინტერპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, სავარაუდოა, რომ ამ მამაკაცს და ინფექციურში მოთავსებულ კიდევ ორ პაციენტს კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია არ ექნებათ.

– ეს პაციენტი გახლავთ მამაკაცი, 29 წლის, რომელიც მუშაობდა ქალაქ გუანჯოუში, ჩამოვიდა საქართველოში. ჰქონდა ტემპერატურის მომატება, მაგრამ არა 38-ზე მეტი, ნაკლები ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მაინც მოგვმართა და ეს კარგია, რომ ასეთი სიფხიზლე და ყურადღებაა. გარდა იმისა, რომ ის ჩინეთშია ნამყოფი, სხვა არავითარი კლინიკური ნიშანი ახალი კორონავირუსის არ აქვს. ის იმყოფება



ჩვენთან დაკვირვების ქვეშ და ვფიქრობთ, რომ მას არ დაუდასტურდება ახალი კორონავირუსით ინფექცია.

დირექტორის თქმით, დღეს ან ხვალ ლუგარის ლაბორატორია მიიღებს ტესტს და უკვე ადგილზე იქნება შესაძლებელი ახალი კორონავირუსით ინფექციის დიაგნოსტირება.

– ჩვენ ავუღებთ მასალას ამ მამაკაცს, ისევე, როგორც კიდევ ორ პაციენტს, რომლებიც ჩვენთან წვანან და რომელთაც არ ჩატარებიათ ეს გამოკვლევა, მაგრამ, სავარაუდოდ, არც ერთ მათგანს არ ექნება ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია, იმიტომ, რომ კლინიკური ნიშნები მათ არ აქვთ.

ერთადერთი საეჭვო მომენტი არის ის, რომ ყველა მათგანი ნამყოფია ჩინეთში. მეტი არაფერი, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

მან ასევე ისაუბრა 32 წლის ქალის შესახებ, რომლის ბიოლოგიური მასალაც როტერდამშია გადაგზავნილი.

თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, დღეს გახდება ცნობილი, აქვს თუ არა ქალს კორონავირუსი.

– 32 წლის ქალბატონი იმყოფებოდა ქალაქ უხანში. მისგან აღებული მასალა გაგზავნილია როტერდამში, ჰოლანდიაში და 4 თებერვალს ველოდებით პასუხს როტერდამიდან, ამ ქალბატონს აქვს თუ არა ვირუსი. კლინიკური ნიშნებით, ეს ქალბატონი კარგად გრძნობს თავს. ტემპერატურა არ აქვს, პნევმონიაც არ აქვს და, ჩვენი ვარაუდით, არც მას უნდა ჰქონდეს ეს ინფექცია, – განაცხადა ცერცვაძემ.

# მანანა არჩვაძე და ანა ჯაბაური ცოტნე გამსახურდიას ცალ-ცალკე ნახულობენ



პირველი პრეზიდენტის შვილის, ცოტნე გამსახურდიას მეუღლის, ანა ჯაბაურის ინტერესების დამცველის, ჯაბა კვარაცხელიას განცხადებით, ამჟამად ცოტნე გამსახურდია კონტაქტურია.

როგორც მან გუშინ, 3 თებერვალს, „მედიაცენტრ მთავარში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უთანხმოების გამო, ანა ჯაბაურსა და მანანა გამსახურდიას ცოტნეს მოსანახულებლად სხვადასხვა დრო აქვთ გამოყოფილი და ისინი ერთმანეთს არ ეკონტაქტებიან.

– გუშინდელი ინფორმაცია, რაც ქალბატონი ანა ჯაბაურისგან მაქვს, ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობაში მცირე დადებითი დინამიკა შეინიშნება. მან რამდენჯერმე გაუმეორა ცოტნეს ერთი და იგივე დავალების შესრულება, როგორიცაა ხელის მოჭერა.

ანამ აღნიშნა, რომ ყოველ ჯერზე ცოტნემ ეს თხოვნა შეასრულა, რაც მნიშვნელოვანი ელემენტია ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობის განსასაზღვრავად. ის კონტაქტურია, ესმის, ინფორმაცია გადაამუშავა და შესრულების შესაძლებლობაც ჰქონდა.

ამჟამად ვიმყოფებით ახალი ტომოგრაფიის მოლოდინში, რომელიც საშუალებას მოგცემს, რომ ცოტნეს უახლესი მდგომარეობა დადგინდეს. ეს შედარების საშუალებასაც მოგცემს და მკურნალობის სამომავლო მეთოდებსაც განსაზღვრავს, – განაცხადა ჯაბა კვარაცხელიამ.

# საპენსიო სააგენტოს დირექტორობა 120 ადამიანს სურს



საპენსიო სააგენტოს დირექტორობის სურვილი 120-მა ადამიანმა გამოთქვა. როგორც ინტერპრესნიუსს საპენსიო სააგენტოში განუცხადეს, სააგენტოს დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე 120 განაცხადი შევიდა.

საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე ვაკანსია 10 იანვარს გამოცხადდა და განაცხადების მიღება 31 იანვარს დასრულდა. ინტერპრესნიუსი დაინტერესდა, რამდენი განაცხადია უწყებაში შესული და რა პროცედურით მოხდება ახალი დირექტორის შერჩევა.

როგორც სააგენტოში განმარტავენ, საპენსიო სააგენტოს დირექტორს სამეთვალყურეო საბჭო შეარჩევს, რომელშიც ფინანსთა, ეკონომიკის, ჯანდაცვის მინისტრები და სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი, ოლივიერ რუსსო შედიან.

იქამდე კი დირექტორის მოვალეობის შესრულებას მისი მოადგილე, გიორგი ჭიჭინაძე გააგრძელებს, რომელიც ლევან სურგულაძეს 16 იანვრიდან ცვლის.

შეგახსენებთ, საპენსიო სააგენტოს ყოფილმა დირექტორმა, ლევან სურგულაძემ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით განცხადება გასული წლის ბოლოს გააკეთა.

სურგულაძე თანამდებობაზე 2018 წლის სექტემბერში, 5 წლის ვადით დაინიშნა.

# პოლიციამ თბილისში მომხდარი ბინის გაქურდვის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ბინის ქურდობისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ზ.ბ. თბილისში დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ შეაღწია, საიდანაც ოქროს ნივთები და ძვირფასეულობა მოიპარა. სამართალდამცველებმა ზ.ბ. იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ნაქურდალ ნივთებთან ერთად მიმალვას ცდილობდა.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას მოპარული ძვირფასეულობა და ოქროს ნივთები სრულად, ნივთმტკიცებად ამოიღო. ასევე, ამოღებულია ქანჩი და კუსტარულად დამზადებული, კარის გასაღები ხელსაწყოები, მათ შორის ე.წ. „ატმიჩკები".

ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# პოლიციამ თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ა.ე., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და ავტოფარეხში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 83 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილმა დაჭერებით ალუჩა და ჩიჩილაკა შეაშინოს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ამ ხელისუფლებას ჩვენ გადავასახლებთ მატროსოვზე!“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოპოზიციის მიერ საპროტესტო აქციების განახლებაზე საუბრობს.

***— ოპოზიციის პროტესტის განახლებაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვოლსკი აცხადებს, რომ პიკეტირებას კავშირი არ აქვს საარჩევნო კოდექსთან და ის პირდაპირ სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული. ქვეყნის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მართლმსაჯულების და ა.შ. შეფერხებისკენ არის მიმართული. რას უპასუხებთ?***

— ქვეყანას აფერხებს ივანიშვილი და მისი ხელისუფლების, აღვირახსნილი მარიონეტების აღვირახსნილი კორუფცია, რომელიც იქამდე მივიდა, რომ მაგალითად, კალაძე 12 ათას ლარად აპირებდა სკამის ყიდვას და 31 ათას ლარად ნაგვის ურნის შეძენას. დარწმუნებული ვარ, ამ ხელისუფლებას ამომრჩეველი სწორედ ამ პოლიტიკურ სანაგვეზე გაიტანს.

ქვეყანაში ყველაფერი მონოპოლიზებულია, პოლიტიკიდან დაწყებული ბიზნესით დასრულებული. ახალი არც ერთი სამუშაო ადგილი არ იქმნება. ამ ქვეყნის მოქალაქეები ამ ხელისუფლებას ხელს ვუშლით. ამიტომ, ჩვენს გადასახლებას აპირებენ უცხოეთში, სადაც თითქოს სამუშაო ადგილებს გვპირდებიან. აქ რატომ ვერ ქმნიან სამუშაო ადგილებს, რომ ადამიანი საკუთარ ქვეყანას, საკუთარ სახლ-კარს არ მოწყდეს?! ამაზე რა პასუხი აქვს ხელისუფლებას — არავითარი! ამიტომ ამ ხელისუფლებას ჩვენ გადავასახლებთ მატროსოვზე!

***— აქციების თემას რომ დავუბრუნდეთ, რამდენად ხალხმრავალი იქნება?***

— ზამთარია და შეიძლება აქციები არ იყოს ხალხმრავალი, მაგრამ გაზაფხულისთვის ჩვენ დიდი გამოსვლებისთვის უნდა მოვემზადოთ. ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი — ამ ქვეყნის განვითარება, წინსვლა, მისი და მისი შვილებისთვის უკეთესი მომავალი თუ ეს გაურკვევლობა, არსებული რეალობა, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების კორუფციაზეა დამყარებული. მეტი შემოსათავაზებელი ივანიშვილს და მის ხელისუფლებას საქართველოსთვის, ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის არ აქვს. ერთადერთი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, არის ივანიშვილის და მისი მარიონეტების გამდიდრება, უკიდეგანო კორუფცია.

ამ არსებული რეალობიდან გამოსავალი ერთადერთია — სამართლიანი არჩევნები! ეს საპროტესტო აქციები უკავშირდება ეკონომიკას, სიღატაკეს, კორუფციას, უკანონობას, მურუსიძე-ივანიშვილის სასამართლოს, მაგრამ, ცხადია, სამართლიანი არჩევნების მოთხოვნის კონტექსტში. უკან წაღებული პროპორციული არჩევნები უნდა დააბრუნოს ივანიშვილმა, ეს არის მთავარი მოთხოვნა ჩვენი აქციების.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ საკანონმდებლო შესაძლებლობები მათ ხელში ამოწურულია. რომ მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავთ, რომ მათ ხმების მობილიზება გაუჭირდებათ და ა.შ.***

— ივანიშვილმა ეს საკენკი საკუთარ მონებს დაუყაროს. ეს არის უტიფარი ტყუილი, რომელსაც არავითარი გამართლება არ აქვს. ასე ნამდვილად არ ბნელა! პროპორციული არჩევნების ჩატარებაც სავსებით რეალურია და, რაც მთავარია, ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ გამოსავალს ვთავაზობთ — ეს არის ე.წ. გერმანული მოდელის ქართული ვერსია, რომლის კანონად ქცევას არც საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება და არც დეპუტატების დიდი მობილიზება.

საპარლამენტო უმრავლესობის ნახევარიც კი საკმარისია, რადგან ამ ხმებს ოპოზიცია შეავსებს, რომ ეს ცვლილებები გავიდეს პარლამენტში. მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო, რაც პირადად ივანიშვილს არ აქვს. ეს პირადად მას არ უნდა. არადა ნორმალური სამართლიანი საარჩევნო კოდექსი უზრუნველყოფდა იმას, რომ არასდროს არ ჩავარდეს ერთი კაცის ხელში ქვეყანა სამართავად.

***— რეგიონებში რამდენად გადაინაცვლებს აქციები? რამდენადაც მე ვიცი, ლეიბორისტების ოფისში ოპოზიცია ამაზე მსჯელობდა.***

— დიახ, იყო ამაზე მსჯელობა და აქციები ნამდვილად გადაინაცვლებს რეგიონებში. უფრო ზუსტად კი, საპროტესტო აქციები იქნება თბილისში და იქნება რეგიონებშიც. ყველა კანონიერ ფორმას გამოვიყენებთ, რათა სამართლიანი არჩევნების დანიშვნას მივაღწიოთ.

ყველაფერთან ერთად, ეს არის გადარჩენისთვის ბრძოლა! დიახ, სამართლიანი, პროპორციული არჩევნები არის ამ ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა. ჩვენ ეს ხელისუფლება პოლიტიკურ მოუსავლეთში უნდა გავისტუმროთ და არასდროს არ უნდა იყოს ერთპარტიული მონოპოლიური მმართველობა.

უკვე საკმარისი გამოცდილება დავაგროვეთ, რომ გვენახა, რა მოგვიტანა ამან შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და ახლა ივანიშვილის მმართველობის დროს.



***— პარლამენტთან „სირცხვილის კორიდორები“ იქნება?***

— დიახ, „სირცხვილის კორიდორების“ აქცია გაიმართება. ამ უსირცხვილო დეპუტატების შერცხვენა ცოტა რთული საქმეა, მაგრამ ჩვენ მათ ნიღაბს კიდევ ერთხელ ჩამოვხსნით და ხალხს ვაჩვენებთ, რა დღეშია რეალურად ხელისუფლება, რომელიც პარლამენტში უკანა ხვრელებიდან შეიპარება. ივანიშვილმა პარლამენტი შემოღობილ ბუნკერად აქცია.

ოპოზიციას უკანდასახევს არ უტოვებს ხელისუფლება. უკვე პირადად მე ადმინისტრაციული სამართალწარმოებიდან იმხელა პროგრესი განვიცადე, რომ ამ ხელისუფლებამ ჩემზე სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა, მაგრამ დაჭერებით ვერ შეგვაშინებენ.

ივანიშვილმა დაჭერებით ალუჩა და ჩიჩილაკა შეაშინოს.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლება საარჩევნო სისტემას არ შეცვლის“

გულიკო ბალაძე



რა შედეგს მოიტანს ოპოზიციის აქციები? შეუერთდება მას თუ არა კონსერვატიული პარტია? „ახალი თაობის“ კითხვებს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** პასუხობს.

***— ბატონო ბიძინა, დღეს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია აქციებს იწყებს პროპორციული არჩევნების მოპოვების მიზნით. კონსერვატიული პარტია მათ შეუერთდება?***

— არა

***— რატომ, თქვენც ხომ პროპორციული არჩევნების მომხრე ხართ?***

— ჩვენ, როგორი მოსაზრებაც უნდა გვქონდეს, ოპოზიციასთან გაერთიანების არავითარი სურვილი არ გვაქვს. ჩვენ პროპორციული არჩევნების სურვილი გვქონდა, მაგრამ ახლა ფაქტის წინაშე ვდგავართ და ვერაფერს შევცვლით. ამ ოპოზიციის შეკრებები და ხმაური შედეგს ვერ გამოიღებს, უშედეგო იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პროპორციულ სისტემას დავუჭირეთ მხარი. ახლა ფაქტის წინაშე ვართ და ამას უნდა შევეგუოთ. არავითარი სურვილი არ გვაქვს, ოპოზიციურ ფლანგს შევუერთდეთ. ვიცით, ვინც არიან და მათ არ შევუერთდებით.

***— ოპოზიციური პარტიების გაერთიანებას როგორ აფასებთ? 32 პარტია გაერთიანდა. მართალია ზოგი პარტია ერთკაციანია, მაგრამ ლიდერები ხომ არიან. ისინი ერთიანი ფრონტით იბრძვიან ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?***

— კარგად იცით, ყველა ერთად რომ შეკრიბო, მათგან ერთი პარტიაც არ გამოვა.

***— სამაგიეროდ, ლიდერები ხომ ჰყავთ?***

— ლიდერები თუ ჰქვია მაგათ შემადგენლობას, არ ვიცი. ლიდერი ისეთი უნდა იყოს, არჩევნებში რომ დამარცხდება, ან სახლში უნდა წავიდეს, ან თუ რაიმე ისეთი დანაშაული არ აქვს ჩადენილი, შეხედულებები შეიცვალოს, ჩადენილი მოინანიოს, მერე შეიძლება ხალხმა მიიღოს. ისე ქაღალდზე დაწერილი ლიდერობა არაფერს ნიშნავს.

***— ყველას აქვს მოსანანიებელი, ვინც გაერთიანებული ოპოზიციის შეკრებაზე ზის?***

— მათ უმრავლესობას მოსანანიებელი აქვს. რიგითი, ვინც საღ გონებაზეა, მათთან არ დადგება, თავისთავად ლიდერიც ვერ გახდება, მაგრამ აქვს იმის თვითშეგნება, რომ მათ გაემიჯნოს, წარსული პოლიტიკური საქმიანობა დაგმოს და ერის სამსახურში ჩადგეს.

***— განვლილმა რვა წელმა მონანიების ნიშნები მაინც არ გამოაჩინა? მათგან ზოგი ციხეში წავიდა, ზოგი ისევ პარლამენტში ზის, ზოგიც გარეთ არის.***

— არა, არანაირი მონანიების ნიშნები მათგან არ ჩანს. შეიძლება, რიგითმა წევრებმა მოინანიეს, მაგრამ მათი ლიდერების შემადგენლობიდან ვერავის ვხედავ ისეთს, ვინც შეხედულება შეიცვალა.

***— ვის გულისხმობთ?***

— რიგითებისაგან მესმის, რომ ნაცებისგან წავიდნენ და მხარს აღარ უჭერენ.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ ოპოზიციის აქციებს აზრი არა აქვს.***

— მათ ბრძოლას არავითარი აზრი არ აქვს, ვერაფერს მიაღწევენ. პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო, რომლის დიდმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება. გამართლებულია თუ არა მისი გადაწყვეტილება, კანონი კანონია და პატივი უნდა ვცეთ მას და არა ოპოზიციის სურვილებს.

***— ამბობენ ხოლმე, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრიო. ოპოზიციასაც იმედი აქვს, ბრძოლით ხელისუფლებას უკან დაახევინებს გარკვეულ საკითხებში, მაგალითად, რაც შეიძლება მეტი პროპორციული წესით არჩეული დეპუტატი რომ იყოს პარლამენტში.***

— დღევანდელი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ბრძოლა არის დესტრუქციული. წესიერი პოლიტიკური ბრძოლის უნარი და სურვილი მათ არ გააჩნიათ. მათ უნდათ რევანში. რევანში კი არ შედგება. ასე რომ, რასაც ისინი პოლიტიკურ ბრძოლას უწოდებენ, ქვეყნისთვის დამანგრეველია, საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებაა. დანარჩენი, ფანტაზიებში როგორც უნდათ, ისე იფიქრონ, მაგრამ მათ ფანტაზიებს რეალური განხორციელების შანსი არ აქვს.

***— ხელისუფლება ოპოზიციას გარკვეულ ცვლილებებს სთავაზობს. კერძოდ, 100/50-ზე პროპორციის შესაბამისად პარლამენტის არჩევას, თუმცა ამასაც არ თანხმდებიან.***

— მათ უნდათ ისეთი კანონი დაიწეროს, 2020 წლის არჩევნებით გარანტირებულად მოვიდნენ ხელისუფლებაში. ასეთ კანონს ვინ დაწერს? ან ვინ მიიღებს? თვითონ, რა თქმა უნდა, დაწერენ. თუმცა, ხელისუფლება, რომელიც უმრავლესობითაა პარლამენტში, მთავრობაში, არასოდეს მიიღებს ისეთ კანონს, ხალხის არჩეულ დეპუტაციას რომ არ ექნება მისი მიღების სურვილი. ასე რომ, 2020-ში არ იქნება პროპორციული არჩევნები, მაგრამ იქნება 2024 წელს.

***— თუ ახლა ოპოზიცია 100/50-ზე პროპორციით პარლამენტის არჩევას დათანხმდა, ხელისუფლება მაინც არ შეცვლის?***

— ეს ისეთი დეტალია, რომელზეც მეც არ მიმიწვდება ხელი. ეს უმრავლესობის წევრებს უნდა ჰკითხოთ. ჩემი აზრით, ხელისუფლება საარჩევნო სისტემას არ შეცვლის. ხელისუფლება იძულებულია, არსებული სისტემით ჩაატაროს არჩევნები.

***— ამერიკის კონგრესიდან და სენატიდან ყოველდღიურად მოდის წერილები, ევროსაბჭომ რეზოლუციაც მიიღო, სადაც პროპორციული არჩევნების მოთხოვნის გათვალისწინებაზეა საუბარი და საყვედურები. შეიძლება ვთქვათ, რომ ხელისუფლება მათ რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებს?***

— გარკვეულია მათი მიზნები (კონგრესმენები მყავს მხედველობაში), ვინც ხსენებული წერილები გამოაგზავნა, ვიცით, ვინ არიან და რას წარმოადგენენ. ეს ოპოზიციამაც კარგად იცის.

***— ანუ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ?***

— ნაციონალებს კონგრესში თავიანთი მომხრეები ჰყავთ და მათ ინტერესებს ვერავინ გამორიცხავს. წარსულში მათთან ურთიერთობა ჰქონდათ და, პრინციპში, საერთო ვითარებაა. დადასტურებულად არაფრის თქმა არ შემიძლია, სანამ ამას გარკვეული კვლევა არ დაადგენს. დასავლეთის რეკომენდაციებს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს.

***— ისე, სხვებიც მეუბნებიან, რომ საკონსტიტუციო ცვლილება ისედაც ვეღარ მოესწრება პროცედურულად. ამას ოპოზიცია ვერ ხვდება? თუ ხვდება, მაშინ ახლა მათი აქციები რას შეიძლება ემსახურებოდეს?***

— რასაც ადრე ემსახურებოდა მათი ქმედებები, ახლაც იგივე აზრზე არიან. ოპოზიცია ცდილობს, გაზაფხულისთვის მაინც ტემპერატურა აწიოს. ბლოკირებებით და სხვა ხერხებით შექმნან ისეთი სიტუაცია, ქვეყანაში სიტუაცია აირიოს, რომ მათი სურვილების შესრულება იოლი იყოს.

***— უნდათ მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ?***

— ოპოზიცია დესტაბილიზაციაზე წავა.

***— კონსერვატიული პარტია არჩევნებისთვის ემზადება?***

— ცხადია, მაგრამ ჯერ არ არის გარკვეული, ცალკე ვიქნებით თუ ერთად. რაც მთავარია, ამ ოპოზიციას არ შევუერთდებით, ისინი დესტრუქციული ძალები არიან. მათი რამდენიმე ლიდერი ციხეშია. ზოგიც — ციხეში უნდა იყოს.

***— როცა ამბობთ, ერთად ვიქნებითო, „ოცნებასთან“ ყოფნას გულისხმობთ?***

— ჰო, ბუნებრივია. ჩვენ ოპოზიციაში წასვლა არ გამოგვიცხადებია და არც ვაპირებთ. უბრალოდ, პროპორციული სისტემის პროექტის არ მიღებას გავემიჯნეთ. ამით გავაპროტესტეთ, მაგრამ ეს არ არის დიდი ტრაგედია. როცა გუნდის უმრავლესობა სხვა აზრზეა და შენ ეს მიუღებლად მიგაჩნია, გვერდზე უნდა გადგე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციაში წავედით. ეს არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ჩვენ წინააღმდეგაა.

***— ისე, თქვენი პარტიის დეპუტატებს კარგი დემარში კი გამოუვიდათ.***

— ის წევრები, რომლებიც კონსერვატიულ პარტიაში არ იყვნენ და წავიდნენ, სხვა მოსაზრებები აქვთ. რას გადაწყვეტენ, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

# „მიშა ვერ ავიტანეთ და თალაკვაძე რატომ უნდა ავიტანოთ?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— სრულიად გაკოტრებული ძალაა და გაუჭირდება ცნობადი სახეების მოზიდვა?***

— რა თქმა უნდა! ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. დაწყებული სალომე ზურაბიშვილის აბსოლუტურად აბსურდული და სამარცხვინო განცხადებით, დამთავრებული ხაბეიშვილის სამარცხვინო პროცესით! ამით ყველაფერი ნათქვამია.

***— სალომე ზურაბიშვილი ახსენეთ და რას ელოდებით მაისში, როდესაც საქართველოში ევროსაბჭოს მინისტერიალი გაიმართება? ზურაბიშვილმა რუსეთის დელეგაციაც მოიწვია. ჩამოვლენ?***

— თუ არ ეყოფათ იმის ჭკუა, რომ აიცილონ თავიდან ჩატარება ამ მინისტერიალის, რადგან შესაძლებელია მისი სტრასბურშიც ჩატარება, მაშინ იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლავროვი არ ჩამოვა. თორემ ლავროვის ჩამოსვლას ეს მთავრობა ვერ გაუძლებს. მთავრობა არ მადარდებს, მაგრამ ძალიან მეშინია, რამე უარესი არ მოხდეს.

***— ბოლო წვეთი იქნება ჩვენი საზოგადოების მოთმინების?***

— მართლა საზღვარი აქვს ყველაფერს. კი, გასაგებია ვალდებულება გაქვს, მაგრამ რა აუცილებელია თბილისში ჩაატარო?! ამით ვის რას უმტკიცებ ახლა?! აიცილე რა თავიდან ეს შარი!

***— შესაძლოა, გამწვავდეს ვითარება?***

— აუცილებლად გამწვავდება. ჯერ ერთი, ოპოზიციაც ამით ისარგებლებს, თავისთავად ცხადია, რატომაც არა. მეორეც, ჩვენ ვხედავთ, თუ რა „მაგარია“ ეს მთავრობა კრიზისების დროს და მესამეც, თუ რუსეთმა მოინდომა, რომ შარი აგვიტეხოს, შარის ატეხვისთვის ფანტასტიკური მიზეზი იქნება, რომ ლავროვს შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ სიტუაციაში იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ რუსები ლავროვს არ გამოუშვებენ. ფაქტობრივად, მათ იმედზე უნდა ვიყოთ. შესაძლოა, იქამდე მივიდეს საქმე, რომ ვილოცოთ იმაზე, არ გამოუშვან რუსებმა ლავროვი.

***— გახარიას ვიზიტი დაიგეგმა მარტში ამერიკაში. რა შედეგებით დასრულდება მისი ვიზიტი?***

— გახარიაზე უფრო მაღალი წარმოდგენის ვარ, ვიდრე თალაკვაძეზე, მაგრამ რაც უნდა დამაჯერებლად ელაპარაკოს, არაფერი არ მოჰყვება ამას, თუ ამ სიტყვებს საქმე არ გაამაგრებს. როცა ქრება ნდობა ადამიანებს შორის, იგივე ხდება სახელმწიფოების შემთხვევაშიც. ჩვენ ხომ აღარ ვენდობით ადამიანებს, როცა ეს ნდობა ქრება, ჩვენ ვენდობით მხოლოდ მათ საქმეს. აქაც იგივეა ზუსტად.

***— იმის გონიერება მაინც თუ ეყოფა ხელისუფლებას, რომ დათანხმდეს პროპორციულ არჩევნებს?***

— ვამბობთ ხელისუფლებას, ვგულისხმობთ ბიძინას. ამ შემთხვევაშიც ასეა. თუ ბიძინას შერჩა ადეკვატურობა, იმედია, რაღაცას შეცვლის. ხოლო თუ ბოლომდე დაადგნენ ასლან აბაშიძის გზას, მაშინ კარგ მომავალს ვერ ვხედავ მაინცდამაინც.

***— მთლიანად მის კეთილგონიერებაზე ვართ?***

— რა თქმა უნდა. აბა ვინ დარჩა გარშემო ისეთი, ვინც მართლა რამეს წყვეტს?! თუ მართალია ის, რასაც ამბობენ და მართლა არ მიდის მასთან სრული ინფორმაცია, ესეც თავის თავს უნდა დააბრალოს, რადგან მან გარშემო შემოიკრიბა ისეთი ქლესები, რომლებიც ყველაფერს უმალავენ.

აქ ერთი მომენტიც არის — ბიძინას გარემოცვაში შეიძლება იყოს ის ხალხი, ვინც განგებ აკეთებს ამას, რომ გააფუჭოს ურთიერთობა ამერიკასთან და საქართველო შეათრიოს რუსეთის გავლენის სფეროში. ესეც არ არის გამორიცხული. მე ამასაც ვუშვებ.

# პეტრე მამრაძე: „უცხოელები კობახიძეს რომ ხვდებოდნენ, ამბობდნენ, რომ ეს არის თავხედი და უვიცი ბიჭი“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

***– ბატონო პეტრე, ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ ბრძოლამ ხელისუფლებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გადაინაცვლა. აქამდე ზედიზედ მოდიოდა ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების წერილები. ახლახან მიიღეს ევროსაბჭოს რეზოლუცია, სადაც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ქმედებების შესახებ ჩანაწერი ჩვენი შიდა პრობლემების თაობაზე ჩანაწერმა გადაფარა. როგორ ფიქრობთ, რა ფაზაშია ეს ბრძოლა და რა შედეგი მოჰყვება მას?***

– არა მგონია, დასავლეთის რეაქციები – ამერიკის რამდენიმე კონგრესმენისა თუ სენატორის რეაქციები ან ევროსაბჭოს რეზოლუცია რამე არსებით გავლენას ახდენდეს. მინდა, ყველას შევახსენო, სააკაშვილის რეჟიმის დროს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უმძიმეს ანგარიშებს წერდა საქართველოში არსებულ ვითარებაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით.

ასევე ევროსაბჭო იღებდა ძალიან მწვავე და მძიმე რეზოლუციებს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ისეთი რეზოლუცია იყო, შემდეგ ივანიშვილმა რომ წაიკითხა მისი მცირე ნაწილი, დააბრალეს, პუტინის დავალებით არის ჩამოსული, მეხუთე კოლონააო. არადა, ეს ის რეზოლუციაა, ფეხზე წამოდგომითა და ტაშით რომ შეხვდა სააკაშვილის მიერ ევროსაბჭოში გაგზავნილი დელეგაცია, თან დიდ მიღწევად გამოაცხადეს მაშინ, როცა იმ რეზოლუციაში ეწერა, ცხინვალის დაბომბვა საერთოდ საჭირო არ იყოო.

***– რაღაცნაირად აღიარება გამოუვიდათ, მაგრამ ნაცების ჩადენილი დანაშაულები დღეს აღარ ჩანს და კონტრშეტევაზე არიან გადასული.***

– რა თქმა უნდა. ეს არის მმართველი დაჯგუფების მართლაც უდიდესი მიღწევა. ამას მონდომება და დიდი მუშაობა სჭირდებოდა, რომ ამდენი წლის განმავლობაში არა მარტო შეენახათ ნაცმოძრაობა, არამედ კონტრშეტევაზე გადმოსულიყო.

ვგულისხმობ როგორც გოცირიძისა და ბოკერიას ფრაქციებს პარლამენტში, არამედ პარლამენტის გარეთ არსებულ ყველა ჯურის ნაცებსა და ყველა იმ ე.წ. ოპოზიციასაც, რომელიც ყოველთვის მზად არის, წავიდეს კიევში, ვარშავასა თუ ამსტერდამში, რომ დამატებითი ინსტრუქციები ან დაფინანსება მიიღოს.

***– როგორც ამბობენ, სააკაშვილი ახლახან საათობით მდგარა თურმე კიევში მყოფ ამერიკის სახელმწიფო მდივან პომპეოსთან შეხვედრისთვის. პომპეომ არ მიიღო, ზელენსკიმ კი სააკაშვილის ქმედება პროტოკოლის დარღვევად შეაფასა.***

– გასაგებია. საქართველოდან გატანილი ფული, რამდენიმე მილიარდი დოლარი, სააკაშვილის ხელშია კონცენტრირებული.

***– ერთხელ ივანიშვილმა განაცხადა, რომ, მგონი, საქართველოდან ნაცების მიერ გატანილია 18-19 მილიარდი. თუ მართლა ასეა, მართლა დიდი ფულია ნაცების ხელში. რა შეიძლებაა გააკეთოს ამ ფულმა?***

– ხომ გვახსოვს, საფრანგეთში კეზერაშვილი რომ დააპატიმრეს, სააკაშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტს მისწერა, კეზერაშვილი ჩვენი პარტიის დამფინანსებელიაო. როგორც მახსოვს, იმ დროისთვის კეზერაშვილის ანგარიშზე მილიარდ-ნახევარი დოლარი აღმოჩნდა კონცენტრირებული.

საიდან ეს ფული? როგორ გახდა თავდაცვის მინისტრი მილიარდერი? მგონი, ისედაც გასაგებია, საიდან გამდიდრდა, მაგრამ მთავარია, რომ ყველა ჯურის ნაცმა და ყველა ჯურის ჯგუფებმა პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით (32 პოლიტიკური პარტიაა) კონსენსუსს მიაღწიეს.

***– 32 პარტიაა თუ თითოკაციანი პარტიები.***

– თუ საქართველოს სინამდვილეში 32 პოლიტიკური პარტიაა, რა თქმა უნდა, ანეკდოტია. მე მაშინვე ვიკითხე, დანარჩენი 232 რეგისტრირებული პარტია სად არის-მეთქი. არც ერთი არ არსებობს, მათ შორის, არც ერთი არ არის იდეური პარტია. ყველას ამოძრავებს ფული.

***– თუმცა ეს ყველა ჯურის პარტია შემართულია და ამბობს, რომ წარმატებასაც აღწევს ხელისუფლების გადასაბარებლად. ბაქრაძემ თქვა, რომ ევროსაბჭოს რეზოლუცია „ოცნებისთვის“ კიდევ ერთი მძიმე საერთაშორისო დარტყმაა და საერთაშორისო იზოლაცია ელოდებათ. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?***

– ეს დიდი ბლეფია, ნაცების მორიგი ბლეფი. საქართველო დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და თავისუფლების ხარისხით რჩება ლიდერ ქვეყნად მთელ რეგიონში. შეიძლება, ზოგიერთი მახასიათებელი, დიდად სამწუხაროდ, უარესდება ბოლო პერიოდში, მაგრამ ევროგაერთიანებაში, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპაში არაერთი ქვეყანაა (ნატოს წევრებიც), რომელთა მახასიათებლები საქართველოზე უარესია, თუმცა მათ ევროგაერთიანებიდან და ნატოდან არავინ რიცხავს.

ამიტომ ის, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ელოდება სანქციები, ბლეფია. ისიც ბლეფია, კონგრესმენები ხელისუფლებას რომ აკრიტიკებენ, ქართველი ხალხი გაიქცევა და ხმას მისცემს ბოკერიას ან გოცირიძეს.

მთავარია, რომ „ოცნებამ“ ბოლო წლებში დასავლეთთან (აშშ-ის ადმინისტრაციის, კონგრესის, სენატის, ევროპარლამენტის ყველაზე დიდი სახალხო პარტიის წარმომადგენლებთან) ურთიერთობაში ნაცებთან წააგო.

„ნაცებმა“ კი არ გაიმარჯვეს, არამედ „ოცნებამ“ წააგო. მათ მოახერხეს ის, რომ ადამიანური ურთიერთობა საერთოდ გაწყვიტეს. როდესაც კონგრესმენები და სხვები „ოცნების“ წარმომადგენლებს ხვდებიან, მერე ხელებს ასავსავებენ, ესენი ვინ არიანო. მათ ვერ დააჯერებ, რომ თალაკვაძე მართლა პარლამენტის თავმჯდომარეა.

***– რატომ ვერ დააჯერებ, იმიტომ, რომ წინასწარ რამე ცუდი ინფორმაცია აქვთ?***

– არა. მაგალითად, დავით ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყო, სააკაშვილის სისტემის მონა-მორჩილი გახლდათ. ისეთი დიდი კაცი, როგორიც ვანო მერაბიშვილია, არც კი იკადრებდა ბაქრაძესთან დარეკვას, ზღულაძეს დაარეკვინებდა და ბაქრაძეს დავალებას გადასცემდა. ისეთი ფიგურებისთვის, როგორებიც მაშინ მერაბიშვილი, რურუა და სხვები იყვნენ, ბაქრაძე ნული იყო. ყველამ იცოდა, რომ ის ნომინალური ფიგურა გახლდათ, მაგრამ სჭირდებოდათ, რადგან, როდესაც ის ელაპარაკებოდა უცხოელებს (მე მათ შეხვედრებს დავსწრებივარ), ჩამოსულ მინისტრებსა და სხვებს, მას მანდატი ჰქონდა და უცხოელები აღტაცებული იყვნენ მისი თავისუფალი მსჯელობით, აზრებით. ნამდვილი თავისუფალი პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ამას ხომ უნდა ხელოვნება.

***– რა, „ოცნების“ წარმომადგენლები ამას ვერ ახერხებენ?***

– ამას ვერ ახერხებენ გახარია და სხვები. ეს კვირიკაშვილმაც ვერ მოახერხა. კვირიკაშვილზეც თქვა ბაიდენმა, ესეც არ არის თავისუფალიო. „ოცნების“ წარმომადგენლები ლაპარაკს რომ იწყებენ, უცხოელები მაშინვე ხედავენ, რომ ესენი არიან კარგი ფიგურები, მაგრამ ხმას ვერ იღებენ. შეკითხვას დაუსვამ და ვერ გპასუხობენ. ე.ი. მათ უკან „ხაზეინია“.

***– ნაცებს არ ჰყავდათ „ხაზეინი“?***

– „ხაზეინი“ თუ იყო, ნაცების უკან იყო, მაგრამ მანდატი ჰქონდათ. ამათზე უცხოელებო მეუბნებიან, რომ თანაშემწეებივით არიან.

***– გახარიამ განაცხადა, რომ საპარლამენტო დელეგაცია მიდის ამერიკაში. მგონი, აშშ-ში გახარიას ვიზიტიც არის დაგეგმილი. ისინი ვერ შეძლებენ სიტუაციის გამოსწორებას?***

– შეიძლება, უფრო გააუარესონ სიტუაცია. უცხოური გაზეთები წერდნენ 14 ნოემბრის საბედისწერო კენჭისყრის შემდეგ, პროპორციული სისტემის პროექტი რომ ჩავარდა, „ოცნების“ რიგები მიატოვა ყველამ, ვინც მართლა კარგი ინგლისური იცოდა. საუბარია ჩუგოშვილსა და სხვებზე. აქ არის სოციალური და წმინდა კულტურული საკითხი.

***– ირაკლი კობახიძემაც არ იცის კარგი ინგლისური?***

– უცხოელები კობახიძეს რომ ხვდებოდნენ და მერე მე მხვდებოდნენ, ამბობდნენ, რომ ეს არის თავხედი და უვიცი ბიჭი. ალბათ იმ კაცს მოსწონსო. მე მაქვს კონტაქტი უცხოელებთან და ზუსტად ვიცი, რა შთაბეჭდილებას ახდენენ.



## შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ორგანიზაცია „MAC Georgia“-ს მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“. სწავლებაში მონაწილეობდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები და მართლწესრიგის ოფიცრები.

კურსის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვა და სამართალდამცველების მიერ მათთან შესაბამისი კომუნიკაციის დამყარების გზების დახვეწა.

სწავლების განმავლობაში განიხილეს სხვადასხვა საკითხი: ინკლუზიური განათლება; კონკრეტული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დარღვევების თავისებურებები; ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა; ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD) და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის მსგავსი ტიპის სწავლებების ჩატარება მომავალშიც იგეგმება.

# გიგა ბუკია: „სააკაშვილს და მის პარტიას პროპორციული სისტემა არ აწყობს“

## „პირობას როცა დაარღვევ, მერე საგარეო მოკავშირეები სხვა პრეტენზიებსაც გიცხადებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

შეუშლის თუ არა ხელს საპროტესტო აქციების განახლება პარლამენტის მუშაობას? რატომ არ აწყობს სინამდვილეში ნაციონალურ მოძრაობას პროპორციული არჩევნები? რატომ გაუჩნდათ შენიშვნები ამერიკელ პარტნიორებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ? რატომ არაა გასაკვირი, რომ სააკაშვილს არ შეხვდა უკრაინაში მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის წევრს **გიგა ბუკიას**.

***– 4 თებერვლიდან გრძელდება საპროტესტო აქციები პარლამენტის შენობასთან. პროტესტანტების მთავარი მოთხოვნა ისევ წლევანდელი არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებაა. რეალურია ამის მიღწევა?***

– წინ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდია. ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს ასეთ ვარიანტს – 100 პროპორციულ და 50 მაჟორიტარულ ადგილს. ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის კიდევ ერთი შეხვედრა. მთავარი ისაა, რომ სააკაშვილს და მის პარტიას პროპორციული სისტემა არ აწყობს.

***– სააკაშვილის ადრინდელი გამონათქვამების გამო ამბობთ ამას?***

– რასაკვირველია. როცა „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებზე თანხმობა განაცხადა, სააკაშვილი ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. მან იცის, რომ პროპორციულ არჩევნებზე ყველა პარტია დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. ამით დაკნინდება ნაციონალური მოძრაობის როლი. შეიძლება, მან ბარიერიც ვერ გადალახოს. ახლა, ამ სიტუაციაში, სხვა პარტიები ნაცმოძრაობის გარშემო გაერთიანდნენ და სააკაშვილის როლი და ფუნქცია გაიზარდა.

***– ნაციონალები თვალთმაქცობენ?***

– სინამდვილეში, მათ პროპორციული სისტემა არ აწყობთ. სააკაშვილი და მისი პარტია ამ თემას პროტესტისთვის იყენებენ. ამ საკითხის გამო ისინი აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ოპოზიცია ამ თემას არჩევნებამდე გამოიყენებს.

***– ესე იგი, დარწმუნებული ხართ, რომ პროპორციული არჩევნები 2020 წელს არ გვექნება?***

– სამწუხაროდ, ამას არ მოველი. საამისო დრო და რესურსები არ არსებობს. ის დეპუტატები, რომლებმაც პროპორციული არჩევნების კანონპროექტი ჩააგდეს, მეორედ ხომ არ შეიცვლიან პოზიციას! ისინი ჯერ პროპორციული არჩევნების ინიციატორებს შორის იყვნენ, შემდეგ აზრი გადათქვეს. არ მგონია, ისინი ისევ პირველ აზრზე დადგნენ.

***– ოპოზიციურ ერთობაში გაერთიანებულმა პარტიებმა შეიძლება ერთად, ერთიანი საარჩევნო სიითაც იყარონ კენჭი.***

– ძალიან საინტერესო სანახავი იქნება, თუ სიაში ერთად მოხვდებიან ნინო ბურჯანაძე, გიგა ბოკერია, გუბაზ სანიკიძე, შალვა ნათელაშვილი და რომან გოცირიძე. მერე იმაზე იფიქრებენ, პირველ-მეორე და ოცდამეთორმეტე ვინ იქნება.

***– დავით ზალკალიანი, არჩილ თალაკვაძე და გიორგი გახარია ერთმანეთის მიყოლებით მიემგზავრებიან აშშ-ში. ითვლება, რომ მათ ამერიკელ კონგრესმენებს, სენატორებს, ანალიტიკოსებსა და მოხელეებს „ზუსტი“ ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ვითომ არაინფორმირებულია ვაშინგტონი?***

– ამერიკელი მოკავშირეები ისედაც იმყოფებიან საქმის კურსში საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. კომუნიკაცია და დამატებითი ინფორმირება მაინც აუცილებელია. ამ ვიზიტებს დადებითად ვაფასებ. სტრატეგიულ პარტნიორთან ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს ურთიერთობა. აშშ-მ შეასრულა მთავარი როლი არაღიარების გაძლიერების პოლიტიკაში. უბადლო იყო ამერიკული დახმარება თავდაცვის, ეკონომიკისა და სხვა დარგებში. რომ არა ამერიკა, ჩვენ დამოუკიდებლები ვერ ვიქნებოდით. მუშა პროცესში გამოიკვეთება პრეტენზიების არსი. ჩვენ გამოთქმული შენიშვნები უნდა გავითვალისწინოთ.



***– ამერიკელი კანონმდებლები მიანიშნებდნენ რუსულ გავლენებზე.***

– პირობას როცა დაარღვევ, მერე საგარეო მოკავშირეები სხვა პრეტენზიებსაც გიცხადებენ.

***– პროპორციული არჩევნების კანონის ჩაგდებას გულისხმობთ?***

– დიახ. ამან ჩვენ, „კონსერვატორებს“, უმრავლესობა დაგვატოვებინა. ხელისუფლება აშშ-შიც ცუდად გამოჩნდა, როცა გაცემული პირობა არ შეასრულა. ამას მოჰყვა ამერიკელი კონგრესმენების, სენატორების კრიტიკული წერილები. ზოგმა კომპანია „ფრონტერა“ ახსენა, ზოგმა თავისი აზრი გამოხატა რუსეთის გავლენაზე საქართველოში.

***– აშშ მძაფრად აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას, იმავდროულად, არ ენდობა მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. მესამე პრეზიდენტი უკრაინაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრას ცდილობდა. სააკაშვილი იმ სასტუმროშიც კი არ შეუშვეს, სადაც მაიკ პომპეო იმყოფებოდა.***

– სააკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის სასურველი და სანდო პირი არ არის. ამაზე მსოფლიო დიდი ხანია შეთანხმდა. ის, რომ სააკაშვილი თავისას არ იშლის, მასხარაობაა. ვისაც სააკაშვილი დასავლეთში მიღებული ლიდერი ჰგონია, ეს მისი პრობლემაა.

***– განახლებული აქციები არ შეუშლის ხელს პარლამენტის მუშაობას?***

– საპროტესტო აქციები დაშვებულია კანონმდებლობით. დარწმუნებული ვარ, პარლამენტს თავის საქმიანობაში შეფერხება არ ექნება. ის ოპოზიციონერები, რომლებიც ადრე ბლოკირებაზე ლაპარაკობდნენ, ახლა ამას აღარ გეგმავენ. არც იმას ვეთანხმები, რომ ქვეყანაში კრიზისია.

***– კრიზისი არ არის?***

– არა. არის დაპირისპირება პოლიტიკურ ძალებს შორის. არჩევნები მოდის და ყველა ცდილობს თავის წარმოჩენას.

***– დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ ერთობას შორისაა? თქვენს პარტიას რა ადგილი უკავია?***

– რადიკალური დაპირისპირება არის ნაცმოძრაობის გარშემო გაერთიანებულ ძალასა და „ქართულ ოცნებას“ შორის. პროპორციული არჩევნები ჩვენ, კონსერვატიულ პარტიასაც 2020 წელს გვინდოდა. ეს დაპირება რომ არ შესრულდა, ჩვენ უმრავლესობიდან გამოვედით. ნაცმოძრაობასთან არაფრით არ დავდგებით. არც ქუჩაში და არც არჩევნების დროს.

***– სხვებთან დაჯგუფებაც არ არის მოსალოდნელი?***

– დიდი ალბათობით, კონსერვატიული პარტია ცალკე მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. ჩვენი ნიშა ცენტრისტული მემარჯვენეობაა. რადიკალიზმს ვემიჯნებით. მიგვაჩნია, რომ რადიკალიზმმა ქვეყანა ბევრჯერ დააზიანა.

უმრავლესობაში ვიყავით „ქართული ოცნების“ კონსერვატიული ფრთა. ჩვენიც გაგვქონდა, მაგრამ კომპრომისზეც მივდიოდით. ახლა თავისუფლად წამოვაყენებთ ჩვენს პრინციპებს.

## თბილისში მაჩაბლის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცმა თავის მოკვლა სცადა

### დაჭრილია 2 ადამიანი




2 თებერვალს თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე საცხოვრებელ სახლში ახალგაზრდა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობა სცადა. მისმა დეიდამ ხელის შეშლა სცადა. შედეგად დაიჭრნენ ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი.

დაშავებული ახალგაზრდა მამაკაცი ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი ქალიც.

დაჭრილ მამაკაცს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

„კურიერთან“ საუბრისას მეზობლები ოჯახს დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ამ დრომდე მათ არც ხმაურისა და არც დაპირისპირების ხმა არ გაუგიათ. შესაბამისად, მათთვის უცნობია, თუ რა გახდა მომხდარის მიზეზი.

– ის ძალიან კარგი ბავშვია, არც კი ვიცი, ასე რატომ მოხდა. კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა არასწორია. არასოდეს არ გამოსულა ოჯახიდან ხმამაღალი საუბარი, – განაცხადა მეზობელმა.

თვითმკვლელობის მცდელობის გარდა, არსებობს ურთიერთშელაპარაკების ვერსიაც, რასაც სროლა მოჰყვა.

შსს-მ გამოძიება 115-236 და 124-ე მუხლებით დაიწყო.

## ცხინვალში რუსი მრჩევლის და მისი მეუღლის ცხედრები იპოვეს



გუშინ, 3 თებერვალს, ცხინვალში ჯანმრთელობისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებში რუსი მრჩევლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის იგორ გალისა და მისი მეუღლის ცხედრები იპოვეს.

ამის შესახებ ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო „რესი“ სამართალდამცავ უწყებაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

მრჩევლის სახლში, სადაც ცხედრები აღმოაჩინეს, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მიმდინარეობდა. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

იგორ გალი ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2016 წლიდან, ჯანდაცვის რეფორმირების საკითხზე მუშაობდა.

## ავარია სოფელ ნახშირღელეში

### 1 ადამიანი დაშავდა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელეში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა.

ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

არსებული ინფორმაციით, დაშავებულია მძღოლი, რომელმაც დაზიანება ფეხზე მიიღო.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები იმყოფებოდნენ.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

## ბათუმში ზღვამ ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი გამორიყა

ბათუმში ზღვამ 25 წლის მამაკაცის ცხედარი გამორიყა. ცხედარი თვითმხილველებმა შენიშნეს.

ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შემთხვევის ადგილზე შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული.

პირველადი ინფორმაციით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

ცხედარი ბათუმში, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული.

## გიორგი რურუა: „50 ცალი გაფორმებული იარაღი მაქვს და გაუფორმებლით რატომ ვივლიდი?“

– 50 ცალი გაფორმებული იარაღი მაქვს და, ბატონო მოსამართლევ, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ გაუფორმებელი იარაღით დავდიოდე?

ასე მიმართა „მთავარი არხის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიორგი რურუამ გუშინ, 3 თებერვალს, მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძეს სასამართლო პროცესზე.

რურუას თქმით, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

– თავს დამნაშავედ არ ვცნობ. მე 50 ცალი გაფორმებული იარაღი მაქვს, როგორ წარმოგიდგენიათ, ბატონო მოსამართლევ, ადამიანს 50 უცხოური მანქანა ჰყავდეს და, მაინცდამაინც, რუსული „ჟიგულით“ დადიოდეს, ან როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ყალბ რუსულ კუპიურებზე დაიჭირონ? შესაბამისად, როგორ წარმოგიდგენიათ, ბატონო მოსამართლევ, რომ მე გაუფორმებელი იარაღით დავდიოდე? მე თავს დამნაშავედ არ ვცნობ, ბრალს არ ვაღიარებ და ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებ, – განაცხადა გიორგი რურუამ.



საბოლოოდ სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გიორგი რურუას საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადასცა.

ადვოკატები საქმეზე დევნის შეწყვეტას ითხოვდნენ.

– ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ დევნა შეწყვეტილიყო, ვინაიდან გიორგი რურუა აქეთ არის დანაშაულის მსხვერპლი და ამას ადასტურებს არა მხოლოდ ჩვენი პოზიცია, არამედ საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნები და ახლა უკვე ვიდეომასალა, სადაც ასახულია, თუ როგორ ჩადიან პოლიციელები დანაშაულს, როცა გიორგი რურუას საკნიდან პირად ნივთებს იპარავენ და მტკიცებულებების ფალსიფიკაციას ახდენენ.

თუმცა, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსამართლემ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადასცა, – განაცხადა გიორგი რურუას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

პროკურორ ვასილ სამხარაძის თქმით კი, ამ ეტაპისთვის ალბათობის მაღალი მაჩვენებელი არსებობს, რომ გიორგი რურუამ დანაშაული ჩაიდინა.

– გიორგი რურუას ბრალდების საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა. ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება დასაშვებად ცნეს და ასევე წინა სხდომაზე მოსამართლემ გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვა. შემდეგ სხდომაზე გამოკვლეული იქნება ყველა ის მტკიცებულება, რაც ბრალდების მხარესა და დაცვის მხარეს აქვს წარმოდგენილი და საბოლოოდ დადგება განაჩენი. რა თქმა უნდა, ამ ეტაპისთვის არსებობს ალბათობის მაღალი მაჩვენებელი, რომ რურუამ დანაშაული ჩაიდინა, – განაცხადა პროკურორმა ვასილ სამხარაძემ.

გიორგი რურუას შემდეგი სასამართლო პროცესი 10 თებერვალს 13:00 საათზე გაიმართება.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ნოემბერს, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## თენგიზ და ლუკა კალანდიების პროცესი მიხეილ კალანდიას საქმეზე განაჩენის გამოცხადებამდე გადაიდო

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე დანაშაულის დაფარვაში ბრალდებულების, თენგიზ და ლუკა კალანდიების სასამართლო პროცესი მიხეილ კალანდიას საქმეზე განაჩენის გამოცხადებამდე გადაიდო. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კალანდიების ადვოკატმა ამირან ცინაძემ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, 3 თებერვალს სასამართლო პროცესზე, რომელიც დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, ბრალდების მხარემ პროცესის გადადების შუამდგომლობა დააყენა.

ცინაძის თქმითვე, იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ კალანდიას სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოუტანს, ლუკა და თენგიზ კალანდიების მიმართ საქმის წარმოება შეწყდება, ვინაიდან ოჯახის წევრის, ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა არ არსებობს.

– ბრალდების მხარემ პროცესის გადადება მოითხოვა, რაზეც ჩვენ დავეთანხმეთ, ვინაიდან ეს საქმე პირდაპირ კავშირშია მიხეილ კალანდიას საქმესთან. განაჩენი ჯერ იქ უნდა დადგეს, რაც არსებითად შეცვლის ამ საქმეზე გარემოებებს.




მამა-შვილ კალანდიებს დანაშაულის დაფარვას ედავებიან. ამ საქმის არსებითი განხილვა შეჩერებული იყო, როცა მიხეილ კალანდიას ბრალი წაუყენეს სარალიძის მკვლელობაზე, ეს პროცესები შეჩერდა. თუმცა, ბოლო ერთი თვეა, ეს საქმე გააქტიურდა. როგორც მოსამართლემ განმარტა, აღნიშნულ საქმეზე 2-წლიანი არასაპატიმრო ვადა გადის და პროცესები უნდა დააჩქაროს.

თუკი მიხეილ კალანდიას საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, ფაქტობრივად უნდა შეწყდეს თენგიზ და მიხეილ კალანდიების საქმე, ვინაიდან ისინი ოჯახის წევრები არიან და საფუძველი აღარ ექნება სასამართლოს, დამნაშავეებად ცნოს, – განაცხადა ცინაძემ.

მიხეილ კალანდიას საქმეზე სასამართლომ განაჩენი 4 მარტამდე უნდა გამოაცხადოს, სწორედ ამ პერიოდში ეწურება კალანდიას 9-თვიანი საპატიმრო ვადა.

მიხეილ კალანდიას ადვოკატის, ზურაბ თოდუას, განცხადებით, ცრუ ჩვენებისთვის მსჯავრდებული დაჩი ღლონტი, რომელმაც 3 თებერვალს სასამართლოს ჩვენება არ მისცა, კალანდიას საქმეზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს.

ადვოკატის თქმითვე, ღლონტის მიერ ჩვენებაზე უარის თქმა ბევრ კითხვას აჩენს.

– მან უარი განაცხადა ჩვენებაზე, ვინაიდან მისი საჩივარი ჯერ კიდევ არ არის განხილული უზენაეს სასამართლოში. რაც შეეხება მის როლს, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია უზარმაზარი ინფორმაცია აღნიშნულ საქმეზე და, ფაქტობრივად, ამ მოწმის დუმილი ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს საქმეში.

რაც შეეხება დაკითხულ გამომძიებელს, მან კიდევ ერთხელ აღიარა, რომ ფაქტობრივად გამოძიება იყო არაეფექტური, რომ გამოძიებას არ აქვს შესრულებული საგამოძიებო მოქმედებები, რაც საპროცესო კანონმდებლობით აუცილებელი იყო, – განაცხადა ადვოკატმა თოდუამ.

შემდეგი სასამართლო პროცესი 5 თებერვალს, 12:00 საათზე გაიმართება.

## ირაკლი აქირთავას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ხობში მომხდარ მკვლელობასა და დაჭრაში ბრალდებულ ირაკლი აქირთავას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. თავად აქირთავამ პროცესზე აღნიშნა, რომ დუმილის უფლებას იყენებს. მისი ადვოკატის განცხადებით, აქირთავა თავს დამნაშავედ არ ცნობს.

უფლებადამცველი აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000 ლარიან გირაოს ითხოვდა.

ირაკლი აქირთავას ბრალად სს კოდექსის 108-ე და 19-108-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებები ედება.

მან ხობში საკუთარ ახლობელს მუცლის არეში ჭრილობები დანით, მეზობელ ქალს კი ბლაგვი საგნით მიაყენა. შედეგად, მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ქალი კი ამ დრომდე მძიმე მდგომარეობაშია.




## თბილისში პსპ-ს მიკროავტობუსი დაიწვა

გუშინ, 3 თებერვალს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ტრანსპორტის მოძრაობა დროებით შეზღუდული იყო ხანძრის გამო, რომელიც მიკროავტობუსს გაუჩნდა.

წინასწარი ინფორმაციით, მანქანა გაუმართავი ელექტრობის გამო აალდა. მძღოლმა ტრანსპორტიდან გამოსვლა დროულად მოასწრო და არ დაშავებულა.

ადგილზე მისულ სახანძრო ბრიგადას მანქანა უკვე დამწვარი დახვდა. მიკროავტობუსი კომპანია „პე-ეს-პეს“ ეკუთვნის.




**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სმეშკო: „უკრაინა თავად უკრაინელებმა უნდა დაიცვან!“

უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა, გენერალმა იგორ სმეშკომ დადებითი შეფასება მისცა მაიკ პომპეოს ვიზიტს კიევში.

სმეშკომ ხაზი გაუსვა, რომ იქმნება საუკეთესო პერსპექტივები საიმისოდ, რათა აშშ-უკრაინის ურთიერთობები გაღრმავდეს და უფრო მჭიდრო გახდეს.

სმეშკომ ისიც თქვა, რომ ამერიკელები



უკრაინას მისცემენ ფულს, იარაღს, მოამარაგებენ მედიკამენტებით, ინსტრუქტორებით, მრჩევლებით. იქნება პოლიტიკური მხარდაჭერაც, მაგრამ თავიანთი სამშობლოსთვის უკრაინელებმა უნდა იბრძოლონ.

– უკრაინა თავად უკრაინელებმა უნდა დაიცვან! ხელისუფლებამაც, უწინარეს ყოვლისა, ძალოვანი ბლოკის გაძლიერება-რეფორმირებაზე უნდა აიღოს კურსი, – თქვა სმეშკომ.

## ერდოღანი: „ჩვენი შურისძიების დროს ასადის რეჟიმის 30–35 ჯარისკაცი დაიღუპა“



– ჩვენ პასუხი გავეცით იმ შეტევებს, რომლებიც იდლიბში ხორციელდება.

ეს განცხადება თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გუშინ, 3 თებერვალს, გააკეთა.

– ჩვენ განვაგრძობთ ოპერაციებს, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის და იდლიბში ჩვენი ძმების უსაფრთხოება, – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, ვინც ეჭვქვეშ დააყენა თურქეთის შეუპოვრობა, მალევე მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა.

თურქული ავიაციისა და საარტილერიო თავდასხმების მიზანი დაახლოებით 40-მდე პოზიციაა.

– ჩვენი შურისძიების დროს რეჟიმის 30-35 ჯარისკაცი დაიღუპა. ეს იმ თავდასხმის საპასუხოდ მოხდა, რომელიც ასადის რეჟიმმა იდლიბში, თურქული ჯარების წინააღმდეგ განახორციელა, – განაცხადა ერდოღანმა და დასძინა, რომ ანკარამ მოსკოვი არაერთხელ გააფრთხილა, თავიდან აეცილებინათ კონფრონტაცია რეგიონში.

გუშინ თურქეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის მთავრობის მიერ განხორციელებული საჰაერო თავდასხმების დროს იდლიბში 4 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა.

რუსეთის დახმარებით, ბაშარ ალ ასადის რეჟიმი, იდლიბის პროვინციაზე, რომელიც ქვეყანაში აჯანყებულების გამაგრების უკანასკნელ ადგილს წარმოადგენს, გადამწყვეტ დარტყმებს ახორციელებს. მედიის ცნობით, ძალებმა უკვე მოახერხეს პროვინციის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის და სოფლების აღება.

რამდენიმე დღის წინ ერდოღანმა ასადის რეჟიმი და მოსკოვი გააფრთხილა, რომ იდლიბში ვითარება თუ არ დასტაბილურდებოდა, ანკარა უმოქმედოდ არ დარჩებოდა და ყველა ზომას მიმართავდა, მათ შორის სამხედრო ძალასაც.

## ესტონეთი რუსეთს ბრალს სდებს

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რეინსალუმ განაცხადა, რომ რუსეთში ბალტიისპირეთის ანექსიის გამართლებას ცდილობენ, რასაც 1940 წელს ჰქონდა ადგილი.

რეინსალუს აზრით, ამ მხრივ ისტორია ურცხვად ყალბდება. კერძოდ, რუსი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ესტონეთში გერმანული გავლენა ძლიერია და რომ არა 1940 წელს საბჭოთა არმიის შესვლა, იქ გერმანელები შევიდოდნენ.

– ეს აბსოლუტური სიყალბეა! ესტონეთში ძლიერი ანტიგერმანული განწყობილებები დო-



მინირებდა. ამ ფაქტს როგორც საბჭოთა დაზვერვის, ასევე საგარეო საქმეთა არქივებში არსებული დოკუმენტებიც ადასტურებენ, – თქვა რეინსალუმ.

ესტონელმა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანა, რომელსაც თავისი ცოდვების მონანიება არ ძალუძს, საშიშია. რუსეთი არ ინანიებს არც მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, არც იმას, რომ 1940 წელს ბალტიისპირეთის ანექსია განახორციელა.

– ამას ფრიად სამწუხარო დასკვნამდე მივყავართ: რუსეთი ახალი აგრესიისთვის ემზადება, – ამბობს რეინსალუ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დაკარგული მეთევზე ნიანგის ლუკმა გახდა



მალაიზიის სარავაკის შტატში, რომელიც კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ნიანგის მიერ შეჭმული მეთევზის სხეულის ნარჩენებს მიაკვლიეს.

37 წლის ფაირუს ლატიპი 24 იანვარს გაუჩინარდა, მას შემდეგ, რაც მდინარეზე სათევზაოდ წავიდა. იმავე დღის დაახლოებით 23:00 საათზე მისმა თანასოფლელებმა და მეხანძრეებმა დაკარგული მამაკაცის ძებნა დაიწყეს.

მეთევზის სხეულის ნარჩენებს მდინარის შენაკადთან მეორე დღეს მიაკვლიეს.

– ნაპირზე ვიპოვეთ თავი, ტანის ნაწილი და მარცხენა ფეხი, – ნათქვამია სარავაკის სახანძრო დაცვის სამსახურის განცხადებაში, – დანარჩენი, სავარაუდოდ, ნიანგმა შეჭამა.

## ხანშიშესული პრინცესა თაღლითებს შვიდი წელი ფულს უგზავნიდა

ინდონეზიის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღიარეს, რომ საუდის არაბეთის გარდაცვლილი მეფის ფეისალ ალ საუდის ქალიშვილი, პრინცესა ლოლოვა, თაღლითების მსხვერპლი გახდა.

2019 წლის სექტემბერში იურისტებმა ინდონეზიის პოლიციას ორი ბოროტმოქმედის შესახებ აცნობეს, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ატყუებდნენ 71 წლის პრინცესას. შედეგად მან 512 მილიარდი ინდონეზიური რუპია დაკარგა.

ლოლოვა შვიდი წლის განმავლობაში უგზავნიდა ორ ინდონეზიელს ფულს, რომლებიც ჰპირდებოდნენ ამ ფულით მიწის ნაკვეთის შეძენასა და იქ ორი სასტუმროს აშენებას. 2018 წელს პრინცესამ აღმოაჩინა, რომ მშენებლობა დასრულებული არ იყო, ხოლო მისი ფულით შეძენილი მიწის ნაკვეთის მფლობელებად მისი ინდონეზიელი პარტნიორები ითვლებოდნენ.

გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ მიწაზე პრეტენზიას კიდევ ერთი კომპანია აცხადებდა. აუდიტორულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ შეძენილი უძრავი ქონება იმ ფასს არ შეესაბამებოდა, რომელსაც თაღლითები აცხადებდნენ.

ეჭვმიტანილებს ბრალდება სისხლის სამართლის თაღლითობის მუხლითა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კანონის დარღვევისთვის წაეყენებათ.

## ბადეში გახლართულმა მკვდარმა კუმ მამაკაცს სახელი გაუთქვა



ფოტოსურათმა, რომელზეც ბადეში გახლართული მკვდარი კუა ასახული, ფოტოგრაფ შეინ გროსს წყალქვეშა ფოტოგრაფიის საერთაშორისო კონკურსზე სახელი მოუხვეჭა.

ყვინთვაში კანადელმა ინსტრუქტორმა შეინ გროსმა ბადეში გახლართული ზღვის კუ 2017 წელს ბაჰამის კუნძულების სანაპირო წყლებში გადაიღო. იმ დროს, როდესაც ის ფოტოსურათს იღებდა, მის გვერდით მისი მეგობარი გოგონა იმყოფებოდა.

– ის ატირდა, ვინაიდან კუ ბადეში გაიხლართა და ჩასასუნთქად წყლის ზედაპირზე ასვლა ვეღარ შეძლო, – იხსენებს ფოტოგრაფი, – ამის შედეგად კი საბრალო ცხოველი დაიხრჩო.

კანადელმა მკვდარი კუსთვის ფოტოსურათის გადაღება იმისთვის გადაწყვიტა, რომ საზოგადოების ყურადღება ოკეანის წყლების დაბინძურებისთვის მიეპყრო. სურათის გადაღების შემდეგ კი მან ბადე მოხსნა, რათა ამით ზღვის ბინადარი სხვა არსებები გადაერჩინა. კუს ფოტომ გროსს წყალქვეშა ფოტოგრაფიის საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი მოუტანა.

– ასეთი რამ ოკეანეში ყოველდღე ხდება, მაგრამ სიმართლისთვის თვალის გასწორება არავის სურს, – განაცხადა გროსმა, – იმედი მაქვს, ეს ფოტოსურათი ადამიანებს უბიძგებს, საკუთარ პლანეტას უფრო მეტი მზრუნველობით მოეკიდონ.

## ეჭვმიტანილი პოლიციისგან გაქცევას პოლიციის მანქანით ცდილობდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-პიტერსბერგის მცხოვრები შეეცადა, გაეტაცებინა ავტომობილი, რომელშიც გადაცმული პოლიციელი იმყოფებოდა.

პოლიციელები შეეცადნენ, უმნიშვნელო დარღვევისთვის შეეჩერებინათ ველოსიპედით მიმავალი 20 წლის დონალდ სტივენ დაგრეი. იმის ნაცვლად, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს დამორჩილებოდა, დაგრეი მიმალვას შეეცადა და პოლიციის მანქანას შეეჯახა.

როდესაც ეჭვმიტანილი მიწაზე დაეცა, ქამრიდან რევოლვერი ამოუვარდა. მან იარაღს ხელი დასტაცა და გაქცევა ცადა, შემდეგ კი რევოლვერი იქვე ახლოს მდებარე კაფეს სახურავზე ააგდო.

დასახმარებლად ადგილზე სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელი მივიდა. როდესაც მან საკუთარი მანქანის კარი გააღო, დაგრეიმ უბიძგა, შეეცადა, მანქანაში შეეღწია და პოლიციის ოფიცერი გადმოეგდო. სამართალდამცველმა ეჭვმიტანილს დაარტყა და პისტოლეტი დაუმიზნა. ამასობაში კოლეგებმა ეჭვმიტანილი დააპატიმრეს და განყოფილებაში გადაიყვანეს.

დაგრეის მანქანის გატაცების მცდელობის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და მიმალვის მცდელობა ედება ბრალად. მას ასევე წაუყენეს გამოსაცდელი ვადის კანონის დარღვევა, რომელიც ორ ეპიზოდში ქურდობის ფაქტზე ჰქონდა დაწესებული.

## აუქციონზე შეძენილ სახლში მისი ყოფილი მფლობელის ცხედარი იპოვეს



ამერიკის მერილენდის შტატში აუქციონზე შეძენილ სახლში იპოვეს ცხედარი, რომელიც მის ადრინდელ მფლობელს ეკუთვნოდა.

სახლი გაკოტრებული ქონების რეალიზაციის აუქციონზე იქნა გაყიდული. მისი გამართვის თარილი მითითებული არ არის. როდესაც რამდენიმე დღის წინ ახალი მფლობელი სახლს ათვალიერებდა, იქ 39 წლის ქალის ცხედარი აღმოაჩინა. მეზობლის თქმით, ის ავადმყოფობდა და მუდმივი მოვლა სჭირდებოდა. მას ბებია აქცევდა ყურადღებას, თუმცა დაახლოებით ერთი წლის წინ ქალის ხანდაზმული ბებია გარდაიცვალა.

მეზობლის თქმით, ამის შემდეგ ქალს ნათესავები და დაქირავებული მომვლელი უვლიდნენ.

– მას ადგილობრივებიც ნახულობდნენ და ყურადღებას აქცევდნენ. ჩვენ ვამოწმებდით, ჰქონდა თუ არა საჭმელი, მაღაზიაში წასვლა ხომ არ სჭირდებოდა, – განმარტა მეზობელმა მამაკაცმა, თუმცა რამდენიმე თვის წინ ქალთან სიარული ნათესავებმა და მომვლელმა შეწყვიტეს.

მალე დაგროვილი ვალების გამო სახლს კომუნალური მომსახურება გაუთიშეს.

– მაშინ ვიფიქრეთ, რომ ქალი ნათესავებმა თავისთან წაიყვანეს, – აღნიშნა მეზობელმა, – ჩვენ რომ გვცოდნოდა, ის მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ იყო, მინიმუმ კარზე მაინც დავუკაკუნებდით და გავარკვევდით, რამე ხომ არ სჭირდებოდა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა და საქმის გამოძიება დაიწყო. ქალის ცხედარი ექსპერტიზაზე იქნა გადაგზავნილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სუპერლიგა განახლდა, ლიდერი ბათუმში დამარცხდა

**ბათუმი-თსუ 96:79**
**(32:12, 30:24, 15:22, 19:21)**

40-დღიანი შესვენების შემდეგ საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგა მეორე წრით განახლდა და საინტერესო შედეგებიც დაფიქსირდა.

აჭარაში სათამაშოდ პირველი წრის შემდეგ დამაჯერებლად მოლიდერე თსუ ჩავიდა, თუმცა მეტოქეც საკმაოდ ძლიერი – მე-3 ადგილზე მყოფი ბათუმი დახვდა.

შეხვედრა ვერ გამოვიდა დაძაბული. სუპერლიგის ლიდერმა ბათუმელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და პირველი პერიოდი 12:32 რომ წააგო, შემდეგ წარმატების შანსიც არ ჰქონია. უნივერსიტეტელებს საკადრო პრობლემები აქვთ. უფრო ზუსტად კი, გუნდიდან წასულ ამერიკელთა შემცვლელებს ადაპტაციის პერიოდი უდგათ – ისააკ ასრატი და ჯიბრილ ფოლკნერი თსუ-ში პირველად გაისარჯნენ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ტურძილაძე კი, უნივერსიტეტელებს ფეხის ტრავმის გამო ვერ დაეხმარა.



ბათუმელებმა ლაღად და შემართებით ითამაშეს. ტურძილაძის არყოფნაში გიორგი კორსანტიას გაუჭირდა აჭარელთა სერბი ცენტრის – ნიკოლა ვუიოვიჩის შეჩერება. ბალკანელმა მასპინძლებს 18 ქულითა და 14 მოხსნით ულიდერა, ბომბარდირი კი 21 ქულით კოლინ მალკოლმი გახდა.

თსუ-ში 20-20 ქულით დევიდ მაკფარლანდი და სანდრო სანაძე გამოირჩნენ.

შეხვედრა ბათუმელთა გამარჯვებით – 96:79 დასრულდა.

**მგზავრები-კაკტუსი 84:86**
**(12:21, 30:24, 12:24, 30:17)**

ამ შეხვედრაში დიდი ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი – ბოლოადგილოსანი მგზავრები და ქულით მასზე წინ მყოფი კაკტუსი შეხვდნენ. მთელი თამაშის მანძილზე კაკტუსელები იგებდნენ, მაგრამ ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები პერიოდულად ფეთქდებოდნენ და ანგარიშიც რამდენჯერმე გაათანაბრეს.

მესამე პერიოდი არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა 24:12 მოიგეს და ბოლო ათწუთეულის წინ 15 ქულით გალიდერდნენ. მუდამ მებრძოლი მგზავრების მოთამაშეები არ დანებდნენ და ბოლომდე იბრძოლეს. ანგარიში ბოლო წუთზე 3 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ ბრაიან უილიამსი ტაქტიკურ ჯარიმებს არ აცილებდა და ქულებად აქცევდა. მგზავრებმა საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე დეფიციტი 2 ქულამდე აღმოფხვრეს, მაგრამ ეს მათი მაქსიმუმი იყო.

შეხვედრა კაკტუსის გამარჯვებით – 86:84 დასრულდა, რამაც არჩილ ჟღენტის გუნდი ცხრილში გვარიანად დააწინაურა – ის მე-5 ადგილზე აღზევდა.

უილიამსმა შეხვედრა 34 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა.

**ქუთაისი-ვერა 84:88**
**(30:25, 18:26, 19:16, 17:21)**

ყველაზე დაძაბული შეხვედრა იმერეთში გაიმართა – ქუთაისმა ვერას უმასპინძლა. მატჩი თბილისური კლუბის გამარჯვებით – 88:84 დასრულდა. საწყისმა სამმა პერიოდმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხანაც მეორე, ბოლო პერიოდის წინ კი თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა – 67:67. გივი ბაქრაძისა და ბრენდონ სლაის ლიდერობით ვერელებმა ბოლო პერიოდში 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ქუთაისელები არ გატყდნენ და პრესინგის გამოყენებითა და დეჟან რაითის მიჯრით მითვლილი 5 ქულის შემდეგ, ბოლო წუთზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს – 84:85.

მასპინძელთა ტაქტიკური ჯარიმა მაიკ ჰიუზმა 2 ქულად აქცია და ვერელები 3 ქულით გაალიდერა. ყველაფერი მაშინ დასრულდა, როცა ჯეიმს მილიკენმა გამთანაბრებელი 3-ქულიანი ააცილა. ჰიუზმა ორიდან 1 საჯარიმო ჩააგდო და ვერელები მიუწვდომელი გახადა.

26 ქულით ვერელთაგან ბომბარდირი ბრენდონ სლაი გახდა. 25 ქულა და 6 პასით გივი ბაქრაძე გამოირჩა. 15 ქულა, 6 მოხსნა და 5 ჩაჭრა მაიკ ჰიუზის ანგარიშზეა.

რიონისპირელებს 23 ქულით, 8 მოხსნითა და 5 პასით ბექა ბექაურმა ულიდერა. 24 ქულა ჯეიმს მილიკენის ანგარიშზე დაგროვდა.

ამ გამარჯვებით ვერელებმა ქუთაისელებს ცხრილში ქულით გადაასწრეს და 6 მოგებითა და 5 მარცხით ცხრილში მე-4 ადგილზე იმყოფებიან.

**დინამო-ოლიმპი 77:91**
**(14:22, 17:28, 27:13, 19:28)**

დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა თამაში მძლავრად დაიწყეს და პირველი პერიოდის 22:14 მოგების შემდეგ, შედეგიანი თამაში მეორეშიც გააგრძელეს და დიდი შესვენებისთვის 19 ქულით გალიდერდნენ.

დინამო იოლად არ დანებდა. მესამე ათწუთეულში თამაში მნიშვნელოვნად გამოასწორა და ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა. ბოლო მეოთხედის დასაწყისში ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა და, სავარაუდოდ, დაძაბული ფინალიც გველოდა, მაგრამ არა – ოლიმპმა შეძლო მობილიზება და თამაში ისე დაასრულა, დინამოელებისთვის შანსი აღარ მიუცია – 91:77.

ოლიმპში 29 ქულით საუკეთესო იყო დევიონ ტერნერი. 15 ქულა კორი ჰოლდენმა დააგროვა, ხოლო 14 – აკიეან ფრედერიკმა.

დინამოელთაგან 28 ქულით ლუკა ბულაშვილი გამოირჩა. 17 ქულა დაგროვდა ტაილერ უილიამსის ანგარიშზე.

გამარჯვებაში უდიდესი წილი დაიდო ოლიმპიელთა კაპიტანმა რეზო როგავამ, რომელმაც მართალია, 2 ქულა ჩააგდო, მაგრამ 14 პასი გაიღო. ეს მიმდინარე სეზონის რეკორდია.

ოლიმპმა სუპერლიგის მე-12 მატჩში მე-7 გამარჯვება მოიპოვა და ბათუმთან ერთად ლიდერ თსუ-ს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება.

**ცხუმ აფხაზეთი-ტიტები 62:78**
**(19:11, 15:18, 19:20, 9:29)**

ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილი ტიტები თითქმის მთელი საწყისი 3 პერიოდი აგებდა, თუმცა დასკვნით 7 წუთში გუნდის სნაიპერებმა ისეთი მიზანი გამოავლინეს, რომ საბოლოოდ 16 ქულით – 78:62 გაიმარჯვეს. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო მეოთხედი, სადაც ტიტებმა მაგარი დაცვა ითამაშეს, მეტოქეს მხოლოდ 9 ქულა ჩააგდებინეს. შეხვედრის 38-ე წუთზე ლიუკ მეიერმა 3 3-ქულიანი ჩააგდო, რითაც ცხუმ-აფაზეთის წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა.

მეიერს ანგარიშზე საბოლოოდ 24 ქულა დაგროვდა. 15 ქულა კორი სპენსერმა მიითვალა, ხოლო საერთო სარგებლიანობის ინდექსით საუკეთესო იყო ნიკა მეტრეველი – 8 ქულა, 12 მოხსნა.

ცხუმ-აფხაზეთში 10 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ზუკა მაჩალაძე, ბომბარდირი კი 17 ქულით გიორგი შარაბიძე გახდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 11 | 8 | 3 | 948-865 | 19 |
| 2.ბათუმი | 11 | 7 | 4 | 943-879 | 18 |
| 3.ოლიმპი | 11 | 7 | 4 | 864-880 | 18 |
| 4.ვერა | 11 | 6 | 5 | 847-840 | 17 |
| 5.დინამო | 11 | 6 | 5 | 887-945 | 17 |
| 6.კაკტუსი | 11 | 5 | 6 | 821-842 | 16 |
| 7.ქუთაისი | 11 | 5 | 6 | 863-851 | 16 |
| 8.ტიტები | 11 | 5 | 6 | 765-797 | 16 |
| 9.რუსთავი | 10 | 5 | 5 | 795-749 | 15 |
| 10.ცხუმი | 11 | 3 | 8 | 810-883 | 14 |
| 11.მგზავრები | 11 | 3 | 8 | 862-874 | 14 |

# შედეგები

## 2 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-არსენალი ........................ 0:0
ტოტენჰემი-სიტი ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 25 | 24 | 1 | 0 | 60-15 | 73 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 12 | 5 | 8 | 43-34 | 41 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-32 | 37 |
| 6.შეფილდი | 25 | 9 | 9 | 7 | 26-23 | 36 |
| 7.მანჩესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-29 | 35 |
| 8.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 9.ევერტონი | 25 | 9 | 6 | 10 | 31-37 | 33 |
| 10.არსენალი | 25 | 6 | 13 | 6 | 32-34 | 31 |
| 11.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-36 | 31 |
| 12.ბარნლი | 25 | 9 | 4 | 12 | 28-38 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 25 | 7 | 9 | 9 | 22-29 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 25 | 6 | 8 | 11 | 30-37 | 26 |
| 16.ბორნმუთი | 25 | 7 | 5 | 13 | 25-38 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 25 | 7 | 4 | 14 | 32-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 25 | 5 | 8 | 12 | 23-39 | 23 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 6 | 15 | 24-47 | 18 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ფრაიბურგი ..................... 4:0
პადერბორნი-ვოლფსბურგი .......... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 13 | 3 | 4 | 58-23 | 42 |
| 2.ლაიფციგი | 20 | 12 | 5 | 3 | 53-25 | 41 |
| 3.დორტმუნდი | 20 | 11 | 6 | 3 | 56-28 | 39 |
| 4.გლადბახი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-23 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 20 | 10 | 4 | 6 | 31-24 | 34 |
| 6.შალკე | 20 | 9 | 7 | 4 | 31-26 | 34 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 20 | 10 | 3 | 7 | 31-31 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 20 | 8 | 5 | 7 | 29-30 | 29 |
| 9.ვოლფსბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 24-25 | 27 |
| 10.აუგსბურგი | 20 | 7 | 5 | 8 | 33-39 | 26 |
| 11.აინტრახტი | 20 | 7 | 4 | 9 | 32-31 | 25 |
| 12.უნიონი | 20 | 7 | 2 | 11 | 23-32 | 23 |
| 13.ჰერტა | 20 | 6 | 5 | 9 | 24-34 | 23 |
| 14.კიოლნი | 20 | 7 | 2 | 11 | 27-38 | 23 |
| 15.მაინცი | 20 | 6 | 0 | 14 | 28-47 | 18 |
| 16.ვერდერი | 20 | 4 | 5 | 11 | 25-46 | 17 |
| 17.ფორტუნა | 20 | 4 | 4 | 12 | 19-41 | 16 |
| 18.პადერბორნი | 20 | 4 | 3 | 13 | 25-44 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ოსნაბრიუკი .............. 2:2
ნიურნბერგი-ზანდჰაუზენი ............ 2:0
ჰაიდენჰაიმი-დინამო ..................... 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-სოსიედადი .................... 2:1
ეიბარი-ბეტისი ............................. 1:1
ბილბაო-ხეტაფე ............................ 0:2
ვილიარეალი-ოსასუნა .................. 3:1
სევილია-ალავესი ......................... 1:1
ბარსელონა-ლევანტე .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 14 | 7 | 1 | 40-13 | 49 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 4 | 4 | 52-26 | 46 |
| 3.ხეტაფე | 22 | 11 | 6 | 5 | 32-20 | 39 |
| 4.სევილია | 22 | 11 | 6 | 5 | 28-21 | 39 |
| 5.ვალენსია | 22 | 10 | 7 | 5 | 33-29 | 37 |
| 6.ატლეტიკო | 22 | 9 | 9 | 4 | 22-15 | 36 |
| 7.ვილიარეალი | 22 | 10 | 4 | 8 | 39-30 | 34 |
| 8.სოსიედადი | 22 | 10 | 4 | 8 | 37-30 | 34 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 10 | 5 | 22-17 | 31 |
| 10.გრანადა | 22 | 9 | 3 | 10 | 27-29 | 30 |
| 11.ოსასუნა | 22 | 6 | 10 | 6 | 29-28 | 28 |
| 12.ბეტისი | 22 | 7 | 7 | 8 | 30-34 | 28 |
| 13.ლევანტე | 22 | 8 | 2 | 12 | 27-34 | 26 |
| 14.ვალიადოლიდი | 22 | 5 | 10 | 7 | 18-24 | 25 |
| 15.ალავესი | 22 | 6 | 6 | 10 | 23-32 | 24 |
| 16.ეიბარი | 22 | 6 | 6 | 10 | 21-30 | 24 |
| 17.მალიორკა | 22 | 5 | 3 | 14 | 22-38 | 18 |
| 18.ლეგანესი | 22 | 4 | 6 | 12 | 18-34 | 18 |
| 19.სელტა | 22 | 3 | 8 | 11 | 17-31 | 17 |
| 20.ესპანიოლი | 22 | 3 | 6 | 13 | 18-40 | 15 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ფუელაბრანდა-ხირონა .................. 0:1
კადისი-სარაგოსა .......................... 1:1
მირანდესი-რაიო .......................... 0:0
ნუმანსია-ალმერია ....................... 1:1
რასინგი-ალკორკონი .................... 1:1
ოვიედო-ალბასეტე ....................... 3:1

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ფიორენტინა .............. 3:0
ატალანტა-ჯენოა .......................... 2:2
ლაციო-სპალი ................................ 5:1
მილანი-ვერონა ............................. 1:1
ლეჩე-ტორინო ............................... 4:0
უდინეზე-ინტერი ........................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 17 | 3 | 2 | 43-21 | 54 |
| 2.ინტერი | 22 | 15 | 6 | 1 | 44-18 | 51 |
| 3.ლაციო | 21 | 15 | 4 | 2 | 52-20 | 49 |
| 4.ატალანტა | 22 | 11 | 6 | 5 | 59-30 | 39 |
| 5.რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 40-27 | 39 |
| 6.კალიარი | 22 | 8 | 8 | 6 | 38-34 | 32 |
| 7.პარმა | 22 | 9 | 5 | 8 | 31-29 | 32 |
| 8.მილანი | 22 | 9 | 5 | 8 | 23-27 | 32 |
| 9.ვერონა | 21 | 8 | 6 | 7 | 26-23 | 30 |
| 10.ბოლონია | 22 | 8 | 6 | 8 | 34-34 | 30 |
| 11.ნაპოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 30-29 | 27 |
| 12.ტორინო | 22 | 8 | 3 | 11 | 26-39 | 27 |
| 13.სასუოლო | 22 | 7 | 5 | 10 | 36-37 | 26 |
| 14.ფიორენტინა | 22 | 6 | 7 | 9 | 25-32 | 25 |
| 15.უდინეზე | 22 | 7 | 3 | 12 | 19-35 | 24 |
| 16.სამპდორია | 21 | 5 | 5 | 11 | 20-33 | 20 |
| 17.ლეჩე | 22 | 4 | 7 | 11 | 27-42 | 19 |
| 18.ჯენოა | 22 | 3 | 7 | 12 | 23-43 | 16 |
| 19.სპალი | 22 | 4 | 3 | 15 | 16-38 | 15 |
| 20.ბრეშა | 22 | 4 | 3 | 15 | 20-41 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

კიევო-ვენეცია .............................. 0:1
იუვე სტაბია-პერუჯა ..................... 1:2
ბენევენტო-სალერნიტანა .............. 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-ლიონი .................................. 2:1
მეცი-სტ.ეტიენი ............................ 3:1
ბორდო-მარსელი .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 18 | 1 | 3 | 57-14 | 55 |
| 2.მარსელი | 22 | 12 | 7 | 3 | 30-21 | 43 |
| 3.რენი | 22 | 12 | 4 | 6 | 29-21 | 40 |
| 4.ლილი | 22 | 10 | 4 | 8 | 26-25 | 34 |
| 5.მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 30-26 | 33 |
| 6.ლიონი | 22 | 9 | 5 | 8 | 35-21 | 32 |
| 7.რეიმსი | 22 | 8 | 8 | 6 | 21-15 | 32 |
| 8.ნიცა | 22 | 9 | 5 | 8 | 32-30 | 32 |
| 9.ნანტი | 22 | 10 | 2 | 10 | 21-22 | 32 |
| 10.ბორდო | 22 | 8 | 6 | 8 | 30-24 | 30 |
| 11.სტრასბური | 22 | 9 | 3 | 10 | 27-28 | 30 |
| 12.ანჟე | 22 | 8 | 6 | 8 | 24-29 | 30 |
| 13.მონაკო | 22 | 8 | 5 | 9 | 37-39 | 29 |
| 14.ბრესტი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-30 | 28 |
| 15.სტ.ეტიენი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-35 | 28 |
| 16.მეცი | 22 | 6 | 8 | 8 | 22-29 | 26 |
| 17.დიჟონი | 22 | 6 | 6 | 10 | 19-24 | 24 |
| 18.ამიენი | 22 | 4 | 7 | 11 | 24-41 | 19 |
| 19.ნიმი | 22 | 4 | 6 | 12 | 19-36 | 18 |
| 20.ტულუზა | 22 | 3 | 4 | 15 | 21-47 | 13 |

**ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი**

ტილბურგი-ერაკლესი .................. 1:0
ვენლო-უტრეხტი .......................... 1:1
ფორტუნა-ჰერენვენი .................... 2:1
აიაქსი-პსვ .................................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-მორეირენშე ............ 1:5
მარიტიმუ-ავიში ........................... 1:2
სანტა კლარა-ფერეირა ................ 2:1
ბრაგა-სპორტინგი ........................ 1:0
ბოავიშტა-გიმარაეში .................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სტ.გალენი ....................... 1:2
სერვეტი-თუნი .............................. 2:0
სიონი-ციურიხი ............................. 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სელტიკი ................... 1:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-ანტვერპენი ..................... 1:0
ანდერლეხტი-მუსკრონი ............... 1:0
ვარეგემი-ბევერენი ...................... 5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-პანიონიოსი ....................... 2:0
ასტერასი-პანეთოლიკოსი ............. 2:1
ატრომიტოსი-აეკი ....................... 0:1
პანათინაიკოსი-პაოკი .................. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ქაშიმფაშა ............ 1:1
ალანია-მალათია .......................... 2:1
გაზიანთები-სივასი ....................... 5:1
გალათასარაი-ქაისერი ................. 4:1

# ტალახაძემ მსოფლიო თასი უპრობლემოდ მოიგო

რომში მიმდინარე მსოფლიო თასზე ლაშა ტალახაძე ოქროს მედლებს რომ აიღებდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა. თუმცა, ჩვენებურმა ძალიან იოლად დასძლია ეს ტურნირი და დიდ წონებთან „საჭიდაოდ“ არც კი გასულა.

ატაცში პირველი ცდით ქართველმა ძალოსანმა 200 კგ დააფიქსირა, მეორე ცდაზე 210 კგ დაძლია, ხოლო მესამე ცდაზე 215 კილოგრამი დააფიქსირა და მცირე ოქროს მედალი ირგუნა.

თუ რამხელა იყო სხვაობა ქართველ ძალოსანს და სხვა სპორტსმენებს შორის, ამას შედეგებით გაიგებთ. მე-2 ადგილზე რუსეთის წარმომადგენელი ანატოლი სავჩუკი გავიდა (184 კგ), ხოლო მესამე ადგილი ავსტრიის წარმომადგენელ სერგის მარტიროსიანს ერგო, რომელმაც 181 კგ. დააფიქსირა.

ლაშამ ატაცის მსგავსად აკვრაშიც ოქროს მედალი მოიპოვა და ორჭიდის ჯამში პირველობა არავის დაუთმო.

ქართველმა ძალოსანმა აკვრაში 235 კილოგრამით დაიწყო, რის შემდეგაც 245 კგ დაძლია, საბოლოოდ კი 255 კილოგრამი დააფიქსირა, მე-2 დისციპლინაშიც დამაჯერებლად იმარჯვა და ორჭიდის ჯამში 470 კილოგრამით დაასრულა ასპარეზობა.

მე-2 ადგილზე ჯამური 412 კილოგრამით რუსეთის წარმომადგენელი, ანატოლი სავჩუკი გავიდა, ხოლო ბრინჯაო ორჭიდის ჯამში ისრაელის წარმომადგენელ დავიდ ლიტვინოს ერგო (393 კგ).

ეს ტურნირი ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებს რომ არ იძლეოდეს, ჩვენებური ალბათ ფიცარნაგზეც არ გავიდოდა.

ტალახაძის 3 მედალთან ერთად, საქართველოს ნაკრებმა რომში კიდევ 8 მედალი მოიპოვა. ანტონ პლესნოიმ გუნდს 3 ოქროს მედალი მოუტანა, 3 ვერცხლის მედალი მოიპოვა შოთა მიშველიძემ, ხოლო გოგა ჩხეიძემ საქართველოს ნაკრებს 2 ბრინჯაოს მედალი შემატა.

# სამგლოვიარო განცხადებები

ბორის კაკუბავა სამძიმარს უცხადებს ავთო გოგიას ძმის

**დემურ გოგიას**

გარდაცვალების გამო.

სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო „იმედის კლინიკა“ თანაუგრძნობს ირა ჩინჩალაძეს მამის

**შოთა ჩინჩალაძის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 2. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. საჭმლის მომნელებელი ორგანო; 5. მოყვითალო წვრილი წინწკლები სახეზე, ხელებზე; 6. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 11. წითელყურძნოვანი ვაზის იტალიური ჯიში; 13. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 14. ჰუნების წინამძღოლი; 15. ეკლესია თბილისში; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ჭრელი, ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 20. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**თარაზულად:** 1. მაგიდის სათამაშო; 4. მწვადის შეწვისას წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი ცხიმი; 8. დამდგარი, დამყაყებული წყლიანი ტერიტორია; 9. ფრანგული ავტომობილი; 10. ერთ-ერთი რელიგია; 12. ქართველი კომპოზიტორი; 14. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში; 15. ძველებური თასმებით ამოსაკრავი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად; 18. საწვავი სითხე; 21. ბეჭედში, ბროშში ჩასმული ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია ორნამენტი, ჩუქურთმა; 22. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 23. ფრანგი კომედიოგრაფის, მოლიერის ნამდვილი გვარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კარაკასი; 6. კამერტონი; 9. პანელი; 10. სეანსი; 11. ნარდი; 13. პატრი; 15. პალაცო; 18. კიქსი; 21. პერსონალი; 22. ოტომანი; 23. კიუმელი.

**შვეულად:** 1. მაკიაჟი; 2. ვირუსი; 3. ემულსინი; 4. პინგვინი; 7. მიკროფონი; 8. კრამბოლი; 12. თანატოსი; 14. ნაპოლეონ; 16. მინდორი; 17. ნეფრიტი; 19. სარი; 20. ამია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იო; 2. კლოდ; 3. კრამიტი; 4. რკო; 5. თოკი; 6. აიდა; 7. ია; 8. მის; 9. რიყე; 10. ცვილი; 11. ასლი; 12. თამადა; 13. ლა; 14. ექო; 15. კელნი; 16. სე; 17. ივრითი; 18. ფარვანა; 19. მა; 20. სინდისი; 21. სადაფი; 22. დღე; 23. აპოსტერიორი; 24. კადენცია; 25. პარდონ; 26. მოპრა; 27. კაცი; 28. კარმა; 29. ანონა; 30. კამა; 31. ასპარეზი; 32. რო; 33. აბზაცი; 34. ქალამანი. **სურათებზე:** სკარლეტ იოჰანსონი; ჩარლი ადამი

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8898

ევრო — 3.1880

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7882

100 რუსული რუბლი — 4.5523

## ამინდის პროგნოზი 4 თებერვლისთვის







28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## ფილმს „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ამერიკაში აჩვენებენ




ლევან აკინის ფილმს „და ჩვენ ვიცეკვეთ“ 7 თებერვლიდან ამერიკაში აჩვენებენ.

ფილმი, რომელსაც ქართველი საზოგადოების ნაწილი უდიდესი კრიტიკით შეხვდა, უკვე მთელმა მსოფლიომ გაიცნო. მასში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლევან გელბახიანმა კი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი მოიპოვა მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის.

„და ჩვენ ვიცეკვეთ“ შვედეთმა ოსკარზეც წარადგინა, თუმცა ლევან აკინის ნამუშევარი მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, ფილმმა შვედური ოსკარის 4 ნომინაცია მოიგო.

## ქრისტინე შუშაძემ სილამაზის სალონი გახსნა

მომღერალმა და „მხოლოდ ქართულის“ მონაწილემ ქრისტინე შუშაძემ სილამაზის სალონი გახსნა:

— ერთი წელი ვფიქრობდი, 3 თვე კი უდიდესი ენერგია და შრომა ჩავდე. მინდა გაამართლოს. იხსნება ჩემი სალონი თბილისში აბაშიძის ქუჩაზე. მინდოდა თქვენთვის, ჩვენი მომავალი მომხმარებლებისათვის შემექმნა მშვიდი გარემო. რამდენად გამომივიდა, თქვენ შეაფასეთ. დეტალებს გაგაცნობთ მოგვიანებით.

## ნანიკო ხაზარაძე ახალი გადაცემით ბრუნდება



ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე „იმედის“ ეთერში ახალი გადაცემით ბრუნდება.

9 თებერვლიდან ის მაყურებელს წარუდგენს გადაცემას, რომელსაც „საიმედო რეკომენდაცია“ ჰქვია.

ტელეწამყვანი მაყურებლისთვის აქტუალურ და საინტერესო თემებს მიმოიხილავს.

როგორ გავარჩიოთ ხარისხიანი პროდუქტი უხარისხოსგან, ნამდვილი ფალსიფიცირებულისგან — ეს არის იმ თემების ნაწილი, რომლებზეც ნანიკო თავის გადაცემაში დეტალურად ისაუბრებს.

## ლევან ახვლედიანი და ლელა ბაზალი ბიჭის მშობლები გახდნენ

მოცეკვავეები ლევან ახვლედიანი და ლელა ბაზალი ბიჭის მშობლები გახდნენ. მათი მესამე პატარა ღუდუშაურის კლინიკაში დაიბადა. ლევანს და ლელას გოგო-ბიჭი ჰყავთ. მოცეკვავე წყვილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

## ასტროპროგნოზი



### 4 თებერვალი

**ვერძი** — აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი თავდადებული შრომა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **კურო** — სამსახურში კონფლიქტი გელით. ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, იყავით მოწესრიგებული და გული არ გაიტეხოთ. **ტყუპები** — თავს ცუდად გრძნობთ. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **კირჩხიბი** — მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ. **ლომი** — დღეს თქვენი საქმიანი აქტივობა სათანადოდ დაფასდება. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ქალწული** — შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი აქტიურობა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **სასწორი** — იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ღრიანკალი** — მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. პირველ რიგში, საკუთარ თავში განდიდების მანია დათრგუნეთ. **მშვილდოსანი** — არაკეთილისმყოფელი დღეა. ელოდეთ პრობლემებს სამსახურში. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** — მთელი ენერგია საქმეს მოახმარეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობთ თავს სრულფასოვან ადამიანად. ნუ იქნებით სუბიექტური. **მერწყული** — უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **თევზები** — ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

სახლში დაბრუნებული ბავშვი მამას ეუბნება:

— მამიკო, სკოლაში ისევ ფანჯარა ჩამიტყდა.

— შე შობელძაღლო, ვერ გავიგე, სკოლაა თუ ორანჟერეა!

●●●

სეროჟა სახლში ტაქსით მივიდა, მანქანიდან გადმოსულმა ჯიბეების ქექვა დაიწყო და შემდეგ ჩაილაპარაკა:

— ალბათ საფულე მანქანაში ამომივარდა.

ამის გაგონებაზე მძღოლმა აქსელერატორს ფეხი მიაჭირა და მანქანა ადგილიდან დიდი სისწრაფით დაძრა. სომეხმა ჩაილაპარაკა:

— აი, ჩემ მეზობელ გივის კი არ სჯერა, რომ ეს მუშაობს...

●●●

ცირკიდან გამოსული ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ის ილუზიონისტი მართლაც რა მაგარი იყო. ქუდიდან სულ ახალი და ახალი ბაჭიები ამოჰყავდა!

— მაგარი ილუზიონისტი კი არა, ის ორი კურდღელი იყო, ქუდში რომ ისხდნენ...

●●●

შუა საუკუნის ინკვიზიცია. მოსამართლემ განკარგულება გასცა:

— დაწვით ჯადოქარი!

ჯალათი:

— კი მაგრამ, ის ისეთი ლამაზია...

— კარგი... მაგრამ მერე მაინც დაწვით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კიკე სეტიენი: „თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა განაცხადა, რომ ის გუნდის თამაშით ლევანტეს წინააღმდეგ კმაყოფილია, თუმცა მას არ მოეწონა, რომ ბარსელონამ ბოლოში გოლი გაუშვა:

— თამაშს კარგად ვაკონტროლებდით, თუმცა მეტოქემაც შეძლო მომენტების შექმნა და გოლის გატანა, რაც არ მომეწონა და დაცვაზე მეტი უნდა ვიმუშაოთ. მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ და მომავალში უფრო მოვუმატებთ.

ბარსელონამ ლევანტე 2:1 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

## მბაპეს ტუხელთან კონფლიქტი მოუვიდა



პსჟ-ს ერთ-ერთ ლიდერს კილიან მბაპეს მთავარ მწვრთნელთან ტომას ტუხელთან კონფლიქტი მოუვიდა. მბაპე უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მონპელიესთან შეხვედრის დროს ის 68-ე წუთზე შეცვალეს და ემოციები არც დაუმალავს, რაც, ბუნებრივია, კამერებს არ გამოეპარათ. ტუხელმა ამ თემაზე კომენტარი არ გააკეთა, ხოლო მბაპემ თქვა, რომ ნაადრევი ცვლილებები არ სიამოვნებს. თუ სიტუაცია არ განიმუხტა, მბაპე პსჟ-დან წასვლაზე იფიქრებს.

მისი შეძენა ძალიან ბევრ კლუბს სურს, მათ შორის არის მადრიდის რეალიც.

## ჟოზე მოურინიო: „შანსები კარგად გამოვიყენეთ“



ტოტენჰემმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ სიტი მიიღო და დაამარცხა ანგარიშით 2:0. ტოტენჰემმა თავისი თამაში კონტრშეტევებზე ააგო და შანსები კარგად გამოიყენა.

ეს ჟოზე მოურინიომაც აღნიშნა:

— სიტი ბურთს ფლობდა, მაგრამ თამაშს ვერ აკონტროლებდა, ამიტომ ისინი ვერ ქმნიდნენ საგოლე მომენტებს. ჩვენ ჩვენი შანსები გამოვიყენეთ და მატჩი მოვიგეთ. ასეთი შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ.

ტოტენჰემთან წაგების შემდეგ სიტი ლივერპულს უკვე 22 ქულით ჩამორჩება.

## კონტე: „კრისტიან ერიქსენს ადაპტაციისთვის დრო სჭირდება“



მილანის ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ კრისტიან ერიქსენზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი დებიუტით კმაყოფილია, თუმცა მას სჭირდება დრო ადაპტაციისთვის, რადგან იტალიურ ფეხბურთთან შეჩვევა იოლი არ არის:

— უდინეზესთან ერიქსენმა ძალიან კარგად ითამაშა და კმაყოფილი ვარ, თუმცა მას გაცილებით მეტი შეუძლია და იმედი მაქვს, რომ ის მოუმატებს, როდესაც ადაპტაციას ბოლომდე გაივლის.

ერიქსენი ინტერში იანვრის ბოლოს გადავიდა და ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა.

## ნიკოლოზ რაჭველი: „გაუსაძლის გამოცდას ვაბარებ საგანში, რომელსაც მოთმინება ჰქვია“



აცხადებს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი და მოთმინებით ელოდება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება დიდ საკონცერტო დარბაზთან დაკავშირებით:

— გაუსაძლის გამოცდას ვაბარებ საგანში, რომელსაც მოთმინება ჰქვია.

არადა, რამდენი რამ მაქვს გასაკეთებელი, როგორ ცხოვრებას ვხედავ ჩვენი ქალაქის საკონცერტო დარბაზში, ისეთს პარიზის, ბერლინის თუ ნიუ იორკის ფილარმონიებს რომ არ ჩამოუვარდება.

რამდენ რამეს ვფიქრობ ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის, ჩვენი მშობლების, ბებიების და ბაბუებისთვის, სოციალურად დაუცველებისთვის.

რამდენი დიდი მუსიკოსი მიდგას გვერდით და სიხარულით ჩამოვა და სხვებსაც ჩამოიყვანს ჩვენთან.

რამდენი ახალი ნიჭიერი ქართველი შემსრულებელი, ავტორი, ჯგუფი და ანსამბლია, ვისთვისაც მინდა, რომ მუდამ ღია იყოს დიდი სცენის კარი.

რამდენნაირი მუსიკა არ ჟღერს და მინდა, რომ ისმოდეს ჩვენს ქალაქში მთავარი სცენიდან.

დრო მიდის. თაობები ისე იცვლებიან, მათთვის საკონცერტო ცხოვრებაზე, ესთეტიკურ აღზრდაზე და გემოვნების დახვეწაზე, რასაც სწორედ რომ ფილარმონიული ცხოვრება მოიცავს, არავინ ზრუნავს.

მგონია, რომ ჯერ კიდევ მაქვს ენერგია ჩემს თანაგუნდელებთან და კიდევ ბევრ თანამოაზრესთან ერთად, ვინც გვერდით დამიდგება, „მოვხოდო“ ფილარმონიული ცხოვრება თბილისში, ის, რაც ბოლომდე განადგურებულია ახლა.

მთავრობა კი ფიქრობს, ვის გაუწიოს ანგარიში — ხალხს, მუსიკოსებს, მსმენელებს, ხელოვანებს, საკუთარი შვილების მომავალს, ეროვნულ ორკესტრს თუ ვინმეს, ვისაც ეს ყველაფერი არ სურს ხდებოდეს თავის ქვეყანაში... და არის კი ასეთი ხალხი ჩვენს გარშემო?

რიტორიკულ კითხვას პასუხს გასცემს გადაწყვეტილება, რომელსაც უკვე მერამდენე წელია ველოდებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნოვაკ ჯოკოვიჩი: „ტიმმა თითქმის დამამარცხა“

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავსტრიელი დომინიკ ტიმი 5-სეტიან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა, თუმცა სეტებში 1:2 აგებდა. ამ გამარჯვების შემდეგ ჯოკოვიჩი რეიტინგში კვლავ პირველი ჩოგანი გახდა. ტიმის დამარცხების შემდეგ ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ ეს შეხვედრა ძალიან რთული გამოდგა:

— ტიმი გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ მე ბოლომდე ვიბრძოლე და შედეგს მივაღწიე. ავსტრალია ძალიან მიყვარს და ჩემთვის ეს ტურნირი გამორჩეულია.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 2. ებრაელებით დასახლებული უბანი ძველ თბილისში; 3. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 5. მზის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ქართული ავიაკომპანია; 9. გერმანული ყველი; 13. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 15. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 16. ძვირფასბეწვიანი შავი ფერის მელია; 18. საბერძნეთის მეორე სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6. აყალმაყალის, ჩხუბის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი; 10. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 12. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 14. მცენარეთა სამყარო; 17. ხშირი წიწვოვანი ტყის ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 19. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ცოდვების განდობა მღვდლისათვის; 21. წყალმცენარეებისგან მიღებული ქიმიური ელემენტი; 22. ცხვირის ღრუს გასასინჯი სამედიცინო სარკე; 23. მხარე გერმანიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

